ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 15 მარტი 2001 №45 (1318) | ფასი 50 თეთრი





REUTERS ბრიუსელიდან

ანდერლეხტი — რეალი. ბრიუსელელთა გულისმოსაფხან გოლებიდან მეორე ბარტ გოორმა გაიტანა

# ლიგამ რვიანი მოხაზა

## რეალი, ლიდსი, გალათასარაი, ვალენსია, დეპორტივო, მანჩესტერი, ბაიერნი, არსენალი




REUTERS მიუნხენიდან

მეკარეთა ჯენტლმენური დამშვიდობება: არსენალელი დევიდ სიმენი და ბაიერნელი ოლივერ კანი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ხვალ შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გამართული კენჭისყრა ზემოჩამოთვლილ რვა გუნდს ჩემპიონთა ლიგის სამეოთხედფინალოდ დააწყვილებს.

ელიტაში მოსახვედრად გუშინ მოსკოვში ბევრი ოფლი ღვარა „ლიონმა“, მაგრამ უმოტივაციო „სპარტაკს“ ოდენ ქულას გამორჩა, „არსენალმა“ კი, მიუნხენში დამარცხების მიუხედავად, თანაბარქულოვან ფრანგებს ერთურთში უკეთესი შედეგის წყალობით აჯობა და C ჯგუფის მეორე ადგილი და მეოთხედფინალისტობა გაინაღდა.

იხილეთ მეორე გვერდი

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1 |
| არსენალი | 0 |
| სპარტაკი | 1 |
| ლიონი | 1 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი | 2 |
| რეალი | 0 |
| ლიდსი | 3 |
| ლაციო | 3 |

CHAMPIONS LEAGUE

# ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. VI ტური

### C ჯგუფი

#### ბაიერნი 1:0 არსენალი

1:0 ელბერი (10)

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, კუფური, ფინკი, იერემიასი, იანკერი, შოლი (ვისინგერი 90), ელბერი (ტარნატი 90)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, გრიმანდი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (პარლოუ 60), ლორენი, ვიეირა, პირესი (სილვინიო 75), ანრი, კანუ (ვილტორდი 60)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: დიქსონი, ვიეირა, ლიზარაზუ

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

58 000 მაყურებელი

#### სპარტაკი 1:1 ლიონი

1:0 პარფიონოვი (4პ), 1:1 ანდერსონი (68პ)

სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, პარფიონოვი (ბეზროდნი 52), მიტრესკი, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, მარკაო (ლოვჩევი 76), რობსონი (ირისმეტოვი 83)

მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

ლიონი: კუპე, ედმილსონი, ლეგლი, ვიოლო (ბრუშე 85), დორასო, დელმოტი (გოვუ 58), შანელე, მიულერი, კაკაპა, ს. ანდერსონი, მარლე (ლოკო 83)

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

გაფრთხილება: მიტრესკი, მიულერი, ფილიმონოვი, ვიოლო

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

10 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:5 | 13 |
| არსენალი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:4 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |

„ბაიერნი" და „არსენალი" გავიდნენ მეოთხედფინალში

### D ჯგუფი

#### ლიდსი 3:3 ლაციო

0:1 რავანელი (21), 1:1 ბოიერი (27), 1:2 მიხაილოვიჩი (29პ), 2:2 უილკოქსი (43), 3:2 ვიდუკა (62), 3:3 მიხაილოვიჩი (90)

ლიდსი: რობინსონი, კელი, მაიბერი (ბეტი 90), მილსი, ჰარტი, ბარნსი, ბოიერი, უილკოქსი, მატეო, ვიდუკა (ჰეკვორთი 64), კოუელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ლაციო: მარკეჯანი, მიხაილოვიჩი, კოლონეზე, პეზარეზი, ფერნანდუ კოუტუ, ბარონიო, ნედვედი, სტანკოვიჩი, კასტრომანი (რუგიუ 89), კლაუდიო ლოპესი (სალასი 72), რავანელი

მწვრთნელი: დინო ძოფი

გაფრთხილება: კოლონეზე, მატეო, კასტრომანი, სტანკოვიჩი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

36 741 მაყურებელი

#### ანდერლეხტი 2:0 რეალი

1:0 დინდანე (85), 2:0 გოორი (89)

ანდერლეხტი: მილოშევიჩი, ილიჩი, დე ბოეკი, დოლი, ვან დიემენი, გოორი, ბასეჯიო, სტოიკა (დინდანე 83), ჰასი (ვანდერეგე 75), რაძინსკი, იულა (კოლერი 70)

მწვრთნელი: ემე ანტუნესი

რეალი: კასილიასი, ჯერემი, სალგადო, სანჩისი (რუბენი 87), რობერტო კარლოსი (სოლარი 70), ელგერა, სელადესი, რივერა, სავიო, მორიენტესი (ტოტე 62), მუნიტისი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: დოლი, დე ბოეკი, სოლარი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

22 000 მაყურებელი

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:9 | 13 |
| ლიდსი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| ანდერლეხტი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | 6 |
| ლაციო | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | 5 |

„რეალი" და „ლიდსი" გავიდნენ მეოთხედფინალში



სპარტაკი — ლიონი. დმიტრი პარფიონოვის (№18) გატანილმა პენალტმა „ლიონს" მეოთხედფინალის საგზური დაკარგვინა



გულისხმიერი ხალხია რუსები, აგერ, სპარტაკელი ჩუისე როგორ ამშვიდებს ბრაზილიელ სონი ანდერსონს



ანდერლეხტი — რეალი მადრიდელ მანუელ სანჩისისთვის (მარცხნივ) მეასე ევრომატჩი იყო



ჟოვანი ელბერმა „ბაიერნი" მეოთხედფინალში თავით გაიყვანა



ლიდსი — ლაციოს მატჩში გოლიც მრავლად იყო და გაწევ-გამოწევაც

## ჰოლანდია

თასის 1/4 ფინალი

**ჰერენვენი 4:3 ფეიენოორდი**

1:0 ლურლინგი (6), 1:1 ტომასონი (14), 1:2 ბოსველტი (28), 2:2 ოლბოკი (37), 3:2 ლურლინგი (45), 4:2 იენსენი (80), 4:3 იოკემსენი (90)

**ნახევარფინალის წილისყრა**

11 აპრილს: ჰერენვენი — პსვ ეინდჰოვენი

12 აპრილს: ვიტესი — ტვენტე

## ავსტრია

XXV ტური

**ზალცბურგი 0:3 რაპიდი**

**ადმირა 1:1 ბრეგენცი**

**ლინცერი 2:0 რიდი**

## ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩები

**პრესტონი 2:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 მაკკენა (43), 2:0 კროსველი (77)

**ბირმინგემი 0:2 ბლეკბერნი**

0:1 ბენტი (42), 0:2 დაფი (52)

**ტრანმერი 1:1 პორტსმუთი**

1:0 ელისონი (28), 1:1 ბარბერი (56)

III დივიზიონი

გადადებული მატჩები

**ბრაიტონი 4:1 ბარნეტი**

## ჩეხეთი

გადადებული მატჩი

**სინოტი 0:0 ბოჰემიანსი**

## შოტლანდია

გადადებული მატჩები

**რეინჯერსი 0:2 დანდი**

0:1 კანიჯა (13), 0:2 მილნი (90)

**ჰარტსი 3:0 კილმარნოკი**

1:0 ფლოგელი (72), 2:0 ხუანხო (77), 3:0 სევერინი (90)

**სენტ ჯონსტონი 1:2 სელტიკი**

0:1 ჯონსონი (29), 1:1 მაკლასკი (43), 1:2 ლარსონი (61)

## საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი

II მატჩი

**ირაკლისი 2:0 პანაჰაიკი (1:0)**

## პოლონეთი

თასის 1/4 ფინალი. II მატჩები

**სტომილი 1:2 პოლონია (1:2)**

**ლეგია 1:0 ზაგლემბე (0:4)**

**პლოცკი 0:0 ოპოლე (1:2)**

**გურნიკი 2:1 ლეჩია (2:0)**

## შვეიცარია

A ჯგუფი

გადადებული მატჩი

**სიონი 2:1 გრასჰოპერი**

A/B ჯგუფი

გადადებული მატჩი

**ლუცერნი 2:3 ძიამაძსი**




იყიდება

ორკარიანი ავტომანქანა

„მიცუბიში პაჯერო" ბენზინზე

1986 წლის გამოშვება. ფასი 3 500

ტელეფონი: 8 (99) 55 16 75

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

საქართველო — რუმინეთი

# ბოლონის რუმინეთი: 16 უძლიერესი და 4 უცნობი



შოთა არველაძის თანაგუნდელი კრისტიან კივუ ჩინებულ ხასიათზეა

**28 მარტს** თბილისში, რუმინეთთან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მზადებას საქართველოს ნაკრები 20 მარტს გერმანიაში დაიწყებს და შინ 26-ში ჩამოვა. ამ დღეს გვესტუმრება რუმინელთა გუნდიც, რომელსაც ქართველებთან მატჩამდე, 24 მარტს, ბუქარესტში იტალიელთა მეტოქეობა მოუწევს.

რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ კი ორიოდ დღის წინ ის 15 რუმინელი ლეგიონერი და ერთიც რუმინეთშივე მოთამაშე ჩამოთვალა, რომლებიც ამ ორი მატჩისთვის გამოიძახა. ჯერჯერობით ბოლონის სიაში ერთი მეკარეა, თუმც რუმინეთის ჩემპიონატის უახლოესი ტურის შემდეგ ქვემოჩამოთვლილთ მწვრთნელი 4 ფეხბურთელსაც დაამატებს, მათ შორის მეკარესაც.

*მეკარე: ბოგდან სტელია („სალამანკა", ესპანეთი)*

*მცველები: ლივიუ ჩებოტარიუ („დინამო", რუმინეთი), კოზმინ კონტრა („ალავესი", ესპანეთი), იოან ფილიპესკუ („ბეტისი", ესპანეთი), კრისტიან კივუ („აიაქსი", ჰოლანდია).*

*ნახევარმცველები: ალინ სტოიკა („ანდერლეხტი", ბელგია), კატალინ მუნტიანუ („სალამანკა", ესპანეთი), დორინელ მუნტიანუ („ვოლფსბურგი", გერმანია), კონსტანტინ გალკა („ესპანიოლი, ესპანეთი), ლაურენტიუ როსუ („ნუმანსია", ესპანეთი), პოლ კოდრია („ჯენოა", იტალია), დენის სერბანი („ელჩე", ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: ადრიან ალიე („ვალენსია", ესპანეთი), იონელ განია („შტუტგარტი", გერმანია), ვიორელ მოლდოვანი („ნანტი", ესპანეთი), ადრიან მუტუ („ვერონა", იტალია)*

როგორც ჩვენმა რუმინელმა კოლეგა პოლ ზახარიამ გვაცნობა, ლადისლაუ ბოლონი გუნდს, ქართველთა მსგასვად, 20 მარტს შეკრებს და ბუქარესტის მახლობლად მდებარე ბაზაზე ავარჯიშებს. 24 მარტს რუმინელები იტალიელებს უმასპინძლებენ, მეორე დღეს მსუბუქად წაივარჯიშებენ და 26-ში თბილისს გამოფრინდებიან.

**ძოგა ინასარიძე**

# ჯამარაული გადაბრუნებულ ფეხს სამ დღეში გამოიბრუნებს

**კვირას**, შვეიცარიის ჩემპიონატის „A" ჯგუფის მესამე ტურში, მიხეილ ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის „ციურიხი" „ლუგანოს" სტუმრობდა და შინ სამი ქულით დაბრუნდა. გოჩა ჯამარაულმა მატჩი ვერ ჩაამთავრა — ნახევარ საათში შესაცვლელი შეიქნა.

— მეტოქე ძალიან მეუხეშა — კოჭში ჩამარტყა და საშინლად მატკინა. ფეხიც გადამიბრუნდა. ახლა ვმკურნალობ, საფენები მაქვს შემოხვეული, კოჭი შეშუპებულია. ექიმებმა მითხრეს, ორი-სამი დღე მოგიწევს დასვენებაო. ხუთშაბათს შვეიცარიის თასზე მატჩს გამოვტოვებ, კვირას კი „გრასჰოპერის" წინააღმდეგ აუცილებლად ვითამაშებ — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა გუშინ, როცა ციურიხში შევეხმიანეთ.

ახლა, როცა რუმინეთის ნაკრების მასპინძლობამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა, საქართველოს ნაკრების თითოეული ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა ორმაგად მნიშვნელოვანი და საფიქრალია. ღმერთის წყალობით, ჯერ ყველაფერი კარგადაა და ნაკრებში გამოძახებულთაგან ისეთი არავის არაფერი სჭირს, თბილისში რომ ვერ ითამაშოს.



გოჩა ჯამარაული

**ძოგა ინასარიძე**

# შეშინდო შეშინდი და პატარა მეშეზი

თბილისი. „შევარდენი". 14 მარტი. 13 საათი. 800 მაყურებელი

## საქართველო 2:0 აზერბაიჯანი

ახალგაზრდულები

1:0, 2:0 იმედაძე (37, 45)

**საქართველო:** ლომაია, (მერლანი 46), საჯაია, ჩივაძე (სალუქვაძე 46), აბრამიძე, კაკაშვილი, კვირკველია (გილაური 46), კვარაცხელია (მანჯგავა 46), ბურდული, ხიზანიშვილი(ძამაშვილი 68), იმედაძე ლ. მელქაძე (გ. შენგელია 46)

**აზერბაიჯანი:** ჰასანზადე, გაჯიევი, რ. აბასოვი, გაფიტულინი, ალიევი, რახმანოვი, ი. მუსაევი (სულთანოვი 74), იმამალიევი, ჰასანოვი (ვ. მუსაევი 46, ნარიმოვი 87), ნაბიევი (გულამოვი 46), ა. აბასოვი

სათადარიგონი: ფოლადოვი; სადიკოვი, სალმანოვი, ჰუსეინოვი

**გაფრთხილება:** ჰასანოვი (17), გაჯიევი (23), კვირკველია (25), ჩივაძე (45), საჯაია (54)

**განძევება:** რახმანოვი (52), შენგელია (55)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე, მ. ელიკაშვილი, ა. სამხარაძე, ა. შალამბერიძე. **ინსპექტორი:** ბ. სიჭინავა

**პაატა კვანტალიანი**

**გუშინ** „შევარდენზე" საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სარუმინეთოდ გენერალური რეპეტიცია გაიარა და გიორგი იმედაძის დუბლით მშრალი ანგარიშით დაამარცხა თბილისში მატარებლით ჩამოსული აზერბაიჯანელები.

ბაქოს „შაფას" ბაზაზე დაკომპლექტებული სტუმართა ნაკრები ულეგიონეროდ ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელებმა ვინმე მოისაკლისეს. რაცა ვართ, ესა ვართ, ამათზე უკეთესი ფეხბურთელები ჩვენ არც გვყავს, ალალად თქვა მატჩის წინ სტუმართა თავკაცმა ასკერ აბდულაევმა.

აბდულაევის რჩეულნი იმდენად ტანმორჩილნი იყვნენ, რომ გუნდების მოედანზე გამოსვლისას ქართველები სტუმრებთან შედარებით გოლიათები გეგონებოდათ. ნანახმა ზოგ გულშემატკივარში სიბრალულის გრძნობაც გამოიწვია, ამათთვის ბურთის წართმევა და გოლის გატანა საცოდაობააო...

დაიწყო თამაში და ყველაფერი კრილოვის ცნობილი იგავივით აეწყო. ჩვენი ნაკრების სათამაშო რგოლები ერთმანეთისგან გათიშული იყო, ყველა თავისკენ ექაჩებოდა და ამ ჯაჯგურში ნახევარი საათი ისე მიიწურა, მეტოქის კართან ხეირიანი მომენტიც არ შექმნილა. ტაიმის ორი მესამედის გასვლის შემდეგ კი ნათლად გამოჩნდა, რომ ამ თერთმეტი „გოლიათიდან" ბევრი დალლილიყო. აზერბაიჯანის ნაკრები კი რა, ერთი უკლასო, მაგრამ მოძრავი და მონდომებული გუნდია, მათ ადგილზე სხვა უფრო რიგიანი ბარე ოთხჯერ გამოატანინებდა ქართველებს კარიდან ბურთს.

გოლით კი ისევ ჩვენებმა გაიხარეს, ინდივიდუალური ოსტატობის და მეტოქის შეცდომის ხარჯზე. 37-ე წუთზე ვიტჯორჯიელმა ლევან მელქაძემ კაკაშვილის გრძელი პასი მიიღო, მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში მის გამჭოლ გადაცემას კი ვარდნაში იმედაძე დაუხვდა, ჰასანზადემ კარიდან გამოსვლა დააგვიანა და ანგარიშიც გაიხსნა. გოლით გულმოცემულმა ქართველებმა ტაიმის ბოლო წუთებში თავი გამოიდეს და მალალურაძის მიერ ტაიმს წამატებულ ბოლო, მესამე წუთზე საჯარიმოში იმედაძე აუხტა ბურდულის ფლანგიდან ჩაწოდებულს და ამჯერად თავურით დაამწუხრა სტუმრები.



გიორგი იმედაძემ აზერბაიჯანელებს ფეხითაც გაუტანა და თავითაც

შესვენებაზე ხურცილავამ ინერტულ ჩივაძეს და დაღლილ კვირკველიას სალუქვაძე და გილაური შეუნაცვლა. მელქაძის მაგივრად კი გიორგი შენგელია ჩართო თამაშში და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა მარცხსშეგუებულ სტუმრებს დასვენებული სათადარიგოებით უფრო მეტ პრობლემას გაუჩენდნენ ქართველები, მაგრამ პირიქით კი მოხდა. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანელები დანებებას არ აპირებდნენ და ახალი სისხლი დიდად არც მასპინძლებს დატყობიათ.

52-ე წუთზე სტუმართა კაპიტანმა რახმანოვმა მალალურაძეს გადაწყვეტილება არ მოუწონა და გინებისთვის ათნი დატოვა თანაგუნდელები, სამ წუთში მის გზას შენგელიაც დაადგა, ალიევის სარმით გამწარებულმა ხურდა დაუბრუნა მეტოქეს და წითელი ბარათიც იხილა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა სერგო კუტივაძემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ზედიზედ მეორე მატჩია (უკრაინასთან შეხვედრაში კანდელაკიც მსგავს სიტუაციაში გააძევეს), ქართველები ხულიგნობისთვის სასწორზე სდებენ გუნდის ბედს. მართალიც იყო მწვრთნელი. პროფესიონალ ფეხბურთელს, წესით და რიგით, შეგნებული უნდა ჰქონდეს თავშეკავების ფასი.

მეორე ტაიმი მთლიანობაში უხეში და უსახური იყო. მასპინძლები უთავბოლოდ აწყდებოდნენ მეტოქის საჯარიმოს, ბოლოს კი თავდასხმაში კენტად დარჩენილმა იმედაძემ ფეხი იტკინა, ალიევთან კინკლაობას გადაჰყვა ბურდული და თამაშიც უფრო გაუფერულდა. საფინალო სასტვენამდე ხუთიოდე წუთით ადრე კი სტუმრებმა გამოიდეს თავი. მათმა ყველაზე სწრაფმა და ტანმორჩილმა (1,61 მ) მცველმა არხან აბასოვმა ორჯერ სახიფათოდ დაურტყა მერლანს. ამ ფეხბურთელმა მანამდეც გამოიჩინა თავი. მარჯვენა ფრთაზე მეტოქე არ გააჭაჭანა და მეორე სართულზე არაერთხელ აჯობა მასზე ორი თავით მაღალ მოწინააღმდეგეებს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანელთა მეორე მწვრთნელმა ელხან აბდულაევმა კუტივაძეს გამარჯვება მიულოცა და იქვე აღნიშნა, უფრო ფრეს ვიმსახურებდითო. ჩვენმა გუნდმა თავისი შესაძლებლობების 80 პროცენტი აჩვენა და უფრო თუ მოვუმატებთ, მოლდოვასთან კარს მომდგარ ოფიციალურ მატჩში თავს არ შევირცხვენთო — დაგვპირდა აბდულაევი.

კუტივაძის სიტყვები კი ალბათ მწარე რეალობაა: „თითოეულ მოთამაშეს ინდივიდუალურად არა უშავს, მაგრამ გუნდური თამაში არ გვაქვს, იმიტომ, რომ გუნდიც არ გვყავს, ორი დღით შეკრებილ ფეხბურთელებს გუნდს ვერ დაარქმევ. ნაკრების შესათამაშებლად დროა საჭირო".

საკითხავი ისაა, დავხვდებით გუნდით 27 მარტს რუმინელებს?..



გივი კვარაცხელიას ტანმორჩილი მეტოქეები შეუპოვრად ებრძოდნენ


# იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე



# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ „ოლიმპოსთან"

საქართველოს ჩემპიონატი 12 უმაღლესი ლიგა მეორე წრე **20 ტური**

# მერან — ტორპედოს ავჭალურით ლოკომოტივმა ისმირა

თბილისი
14 მარტი
15 საათი
სინათლე
3 000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 0:0 ტორპედო**

*მე-18 ტურის გადადებული მატჩი*

**მერანი:** ნაჭყებია, გოგიტიძე, გუჯაბიძე, ზ. კვეკვესკირი, ბოლქვაძე (ხუჯაძე 77), ხუციშვილი (ტინტარაული 70), ჩხაიძე, დევიძე, კოშკაძე, დ. გოგიძიშვილი (ცქიფურიშვილი 86), მინაშვილი

**სათადარიგონი:** კოროშინაძე, გ. ილურიძე, ბაჯელიძე, თოლორდავა

**ტორპედო:** გვარამაძე, ლევან სილაგაძე, ი. ვაშაკიძე (ზ. არჩვაძე 53), მახვილაძე, თოდუა, ჯინჭარაძე (გონჩაროვი 65), დიდავა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი (გვირჯიშვილი 65), ჯანაშია, აშვეთია

**სათადარიგონი:** ზოიძე, ბობოხიძე, ახალკაცი, ასათიანი

**გაფრთხილება:** აშვეთია (32), ჩხაიძე (42), ხუციშვილი (54)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ი. შალამბერიძე, ზ. ფოლიძე (სამივე თბილისი); ა. ორჯონიძე (რნი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**მამუკა კვანტალიანი**

**გუშინ** ავჭალაში ნასტუმრებმა ჩემპიონმა მასპინძელ „მერანს“ გოლი ვერ გაუტანა. მართალია, არც თავად გაუშვია, მაგრამ ქულა „მერანს“ დაუტოვა, ხოლო ორიც თასის მფლობელთა სასარგებლოდ გაფლანგა და ახლა „ტორპედო“ ექვსი ქულით ჩამორჩება „ლოკომოტივს“.

დღეს ისევ პასუხგაუცემელია კითხვები — „ტორპედო“ თუ „ლოკომოტივი“, „მერანი“ თუ „ბათუმი“?

მეორე კითხვის პასუხს ერთ კვირაში შევიტყობთ, ხოლო პირველისა რა მოგახსენოთ, კიდევ ორ თვეზე მეტხანს მოგვიწევს ლოდინი.

ისე ერთიცაა, ამ ორომტრიალში ალარავის ახსოვს „დინამო“, რომელიც ბევრის გასაკვირად ქულებს ქულებზე იხვეჭს, სასწაულებრივ თავს აღწევს მარცხს და ნელ-ნელა ეპარება ჩემპიონსაც და თასის მფლობელსაც.

გუშინ კი საინტერესო ბევრიც არაფერი გვინახავს. საქმეში ვიხილეთ ეროვნული გუნდის კარის დარაჯი დავით გვარამაძე. მეკარე ცუდ ფორმაში არ უნდა იყოს, მაგრამ მისმა გარჯამ საფიქრალიც ბევრი დაგვიტოვა. ვნახეთ ექვსი მცველით, ფეხმტკივანი ასათიანისა და ახალგაზრდულ გუნდში მიწვეული იმედაძის გარეშე მოთამაშე „ტორპედო“.

თავი დაგვამახსოვრა თავისი აქტიურობით „ცხინვალიდან“ ქუთაისში გადაბირებულმა გვირჯიშვილმა, რომელსაც უმაღლეს ლიგაში ბურთაობის გამოცდილება ნამდვილად აკლია, მაგრამ ბრძოლას არ ერიდება.

„სამგურალიდან“ „ტორპედოში“ ალზევებული ბაბუნაშვილიც ვნახეთ, რომელიც ტექნიკური და საზრიანი ახალგაზრდა ჩანს, თუმც გუშინ მაინცდამაინც ბრწყინვალედ არ უთამაშია და პირველ რიგში ეს უხარისხო მინდორს დავაბრალოთ.

„ტორპედოს“ შუა თამაშში ცენტრალური მცველი ვაშაკიძე დააკლდა. ირაკლიმ მხარი დაიშავა და შესაცვლელი შეიქნა. დიდავამ მატჩის მსვლელობისას გამთამაშებლობაც იკისრა, ქემოკლიძეც ხშირად მიიწევდა მეტოქის ნახევრისკენ. მოკლედ, ექვსი მცველი კი ჰყავდათ მინდორზე ძოძუაშვილსა და ყიფიანს, მაგრამ უშუალოდ დაცვაში ოთხილა ირჯებოდა.

ახლა „მერანზეც“ ვთქვათ: სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო გუშინდელი მატჩი გაბელიას გუნდისთვის. აკი, თავად მწვრთნელმაც ეს თქვა, მთავარი იყო, არ წაგვეგო. მარცხის შემთხვევაში ექვსეულში მოხვედრის შანსი თითქმის არ გვრჩებოდა. სწორედ ამან იმოქმედა ფეხბურთელებზე, ფსიქოლოგიური ტვირთი ბოჭავდა თითოეულ მოთამაშეს, და ბუნებრივია, საინტერესო თამაშიც ამიტომ ვერ ვიხილეთო.

გაბელიამ ვერ ათამაშა მუხლმტკივანი დავითნიძე. ვერც ტრავმირებული მუხინი დაეხმარა ავჭალელებს. ხუციშვილი უშუალოდ თამაშისას დაშავდა, ხოლო ხუჯაძეს ეტყობა, ფორმაში, რომ არ არის.

ორივე გუნდის თავკაცებმა უხარისხო მოედნის საფარზე გაამახვილეს ყურადღება. ჩვენში ოღრო-ჩოღრო მინდვრები უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ გუშინ „სინათლეზე“ ფეხბურთის მსგავსი თამაში რომ ვიხილეთ, ამაზეც კმაყოფილები ვართ.

ავჭალაში ბურთი არ გაგორებულა, იყო უამრავი შეცდომა და ხარვეზი. მოკლედ, მეტოქეებმა კიდევ გვარიანად იცოდვილეს.

თამაშის დასაწყისში და მერეც ტაიმის ბოლო თხუთმეტ წუთამდე, თამაში თანაბრად მიმდინარეობდა. ტაიმის ბოლოს კი „ტორპედომ“ იძალა. ხელსაყრელი მომენტები აცუდეს დიდავამ, ჯანაშიამ, აშვეთიამ. ორჯერ ნაჭყეპიამ იხსნა „მერანი“ — ჯერ აშვეთიას ახლოდან დარტყმულს გადაელობა, მერე ჯანაშიას ძლიერად გასროლილი ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმში სტუმრებმა უფრო გააძლიერეს ზეწოლა მეტოქის კარზე, მომენტებიც საკმაოდ შექმნეს, მაგრამ საბოლოო დარტყმას ხან არაზუსტად ასრულებდნენ, ხანაც მცველები მარჯვობდნენ საჯარიმოში შექმნილ არეულობისას.

გატანის შანსი ერთხელ მასპინძლებსაც მიეცათ. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გვარამაძემ ხელებში ვერ შეიმაგრა ან თავდამსხმელთან ჭიდილში გაუვარდა, შილაკაძემ, ჯარიმა არ იყოო, ანიშნა საჯარიმოში თავშეყრილებს. ბურთი მინაშვილის ფეხთან დაეცა. მერანელმა დაარტყა კიდეც, თუმცა სუსტად და მცველმა ბურთი კარიდან გამოიტანა.

სულ ბოლოს „ტორპედომ“ ქაოტურად შეუტია, მაგრამ „მერანმა“ გაძლო და ექვსეულისკენ სავალი გზის ბოლოსაც დაუახლოვდა. წინ ურთულესი მატჩია ბათუმში, მერე შინ, „ლოკომოტივთან“. ავჭალელებს სამი ქულა უნდათ და...

„ტორპედოს“ ერთი საშინაო მატჩი დარჩენია ახალგაზრდულ თსუ-სთან და ერთიც სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან“. ამის მერე ქულები გაიყოფა და თითქმის ყველა სხვაობა მინიმუმამდე შემცირდება.



ქუთაისელი გივი დიდავას (№17) ეს თავური რევაზ ნაჭყეპიას კარს მცირედით ასცდა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 20 | 16 | 2 | 2 | 35:7 | 28 | 50 | 10 | 9 | 0 | 1 | 22:3 | 19 | 27 | 10 | 7 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 23 |
| 2 ტორპედო | 20 | 13 | 5 | 2 | 31:7 | 24 | 44 | 10 | 7 | 2 | 1 | 17:4 | 13 | 23 | 10 | 6 | 3 | 1 | 14:3 | 11 | 21 |
| 3 დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 47:19 | 28 | 42 | 10 | 8 | 0 | 2 | 30:7 | 23 | 24 | 10 | 5 | 3 | 2 | 17:12 | 5 | 18 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 20 | 10 | 6 | 4 | 28:14 | 14 | 36 | 10 | 7 | 1 | 2 | 13:2 | 11 | 22 | 10 | 3 | 5 | 2 | 15:12 | 3 | 14 |
| 5 კოლხეთი | 20 | 8 | 6 | 6 | 21:16 | 5 | 30 | 10 | 5 | 4 | 1 | 8:4 | 4 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 11 |
| 6 მერანი | 20 | 7 | 8 | 5 | 20:19 | 1 | 29 | 10 | 4 | 6 | 0 | 12:6 | 6 | 18 | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 11 |
| 7 ბათუმი | 20 | 7 | 4 | 9 | 28:27 | 1 | 25 | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 17 | 10 | 2 | 2 | 6 | 9:13 | -4 | 8 |
| 8 სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 15:28 | -13 | 22 | 10 | 2 | 3 | 5 | 8:13 | -5 | 9 | 10 | 4 | 1 | 5 | 7:15 | -8 | 13 |
| 9 ბორდა | 20 | 3 | 9 | 8 | 15:25 | -10 | 18 | 10 | 3 | 5 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 10 | 0 | 4 | 6 | 3:17 | -14 | 4 |
| 10 თსუ | 20 | 5 | 3 | 12 | 19:35 | -16 | 18 | 10 | 3 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 10 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 11 დილა | 20 | 4 | 3 | 13 | 13:39 | -26 | 15 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:17 | -6 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 2:22 | -20 | 4 |
| 12 იბერია | 20 | 0 | 3 | 17 | 3:39 | -36 | 3 | 10 | 0 | 2 | 8 | 1:19 | -18 | 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 2:20 | -18 | 1 |

ნებისმიერი საფეხბურთო ანგარიში, უახლესი ინფორმაციები NHL და NBA.
ცნობები ცნობილაძისგან.
ტელ. 8-22-00-90-11.
1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

**გაფრთხილება**
ყველა 35 წლის ასაკის ქართველ მამაკაცში 5-დან ერთი შემოჭმულებითი აქტივობის პერიოდში თამბაქოსაგან გამოწვეული პრობლემებით გარდაიცვლება.
დაარქვით სიგარეტს სახელი,
გადააგდეთ შხამი!
თამბაქოს საწინააღმდეგო პროგრამის ცენტრი
დამატებითი ინფორმაცია და უფასო კონსულტაცია: 30-64-44

მაგთი GSM
მაგთი MAGTI GSM
ფილარმონია.
26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლიუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA
106,9 FM FORTUNA ფორტუნა
სარბიელი

**ანკეტა**

საქართველოს XX საუკუნის
საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის,
გუნდის, გოლის
გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა,
სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და
ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..........
2. საუკეთესო მეკარე ..........
3. საუკეთესო მცველი ..........
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..........
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..........
6. საუკეთესო მწვრთნელი ..........
7. საუკეთესო მსაჯი ..........
8. საუკეთესო გუნდი ..........
9. შთამბეჭდავი (საუკეთესო) გოლი ..........

..........

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს
შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ
გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების
პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების
მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ
ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ
ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:
WWW. gff. ge - ვებ გვერდი
gff@ acces. sanet. ge - E-mail

# ჩხაიძის მიწაზე, უეფას ფულით და შევარდნაძის ბრძანებით

**10 მარტს** საქართველოს პრეზიდენტმა რეზოლუცია დაადო ბრძანებულებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. ამ ბრძანების თანახმად, სფფ-ის განკარგულებაშია 300 კვ.მ. ფართობი ვაკეში „ლოკომოტივის" მშენებარე სტადიონის შესასვლელთან. სწორედ იქ დაიწყება ორ თვეში სფფ-ის ახალი ბინის მშენებლობა.

პრეზიდენტისვე განკარგულებით, ნაკვეთის გაფორმებასთან დაკავშირებული საჭირო სამუშაოები თბილისის მერიამ უნდა მოაგვაროს.

ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში განაცხადა მერაბ ჟორდანიამ სფფ-ის ახალი ოფისის ვაკეში მშენებლობის შესახებ. „იმედი მაქვს, აკაკი ჩხაიძე დაგვეხმარება და „ლოკომოტივის" კუთვნილ ტერიტორიაზე სფფ-სთვის ახალ ოფისს ავაშენებთ. მშენებლობისთვის საჭირო თანხას უეფა გვაძლევს და ალბათ იანვრიდან სამუშაოებიც დაიწყება.

სფფ-მ იანვარში მშენებლობა ვერ დაიწყო იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ მიწის ნაკვეთის განკარგვაზე პრეზიდენტის სათანადო ბრძანებულება იყო საჭირო. ფედერაციას დახმარების ხელი თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გაუწოდა. სწორედ მერიამ შეამზადა ეს საკითხი დასამტკიცებლად და პრეზიდენტის რეზოლუციამაც არ დააყოვნა.

„მადლობას ვუხდით ვანო ზოდელავას, აკაკი ჩხაიძეს თანადგომისთვის. მშენებლობას მაქსიმუმ ორ თვეში დავიწყებთ, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გავაფორმებთ ხელშეკრულებას სასურველ სამშენებლო ფირმასთან" — განაცხადა ამასთან დაკავშირებით სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

**ბაატა ქვანტალიანი**

# თაყაძეს დილა, ხაჩირაშვილს ბავშვები



ივანე თაყაძე

**ვერ** გეტყვით, რატომ გადაწყვიტა ასე. თითქოს არავინ აძალებდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ...

„მე მივდივარ, ჩემი ბოლო თამაში იყო, ამიერიდან ივანე თაყაძე გააგრძელებს. ბოდიში, ახლა მეტს ვერაფერს მოგახსენებთ". ნაღვლიანი და ემოციებს აყოლილი გვეჩვენა „ბათუმთან" საშინაო მარცხის შემდეგ „დილას" თავკაცი ვაჟა ხაჩირაშვილი.

ახალგაზრდა, პატიოსანი მწვრთნელი ჰყავდა „დილას". ერთხელ თქვა და არც გადაუთქვამს. კლუბის ხელმძღვანელებმა მისი დაყოლიება ვერ მოახერხეს.

„ხაჩირაშვილმა თავისი გადაწყვეტილება გუშინ გაგვიმხილა. ვერაფრით გადავაფიქრებინეთ და დავყაბულდით. „დილას" ჩემპიონატის ბოლომდე თაყაძე გაწვრთნის, ხაჩირაშვილი კი ბავშვებში გადავა და მათთან იმუშავებს" — თქვეს გუშინვე „დილას" ხელმძღვანელებმა.

გორელებმა მეთორმეტე ეროვნულში უკვე მეორე მწვრთნელი გამოიცვალეს. ჯერ იყო ხუციშვილი, მერე — ხაჩირაშვილი... ახლა თაყაძეა მესაჭე.

შეგახსენებთ, რომ ივანე თაყაძეს „დილა" ადრეც გაუწვრთნია და გუნდს საბჭოეთის პერიოდიდან მოჰყვება. ამ ხნის მანძილზე მთავარი მწვრთნელიც ყოფილა და თავკაცის თანაშემწედაც უმუშავია.



ვაჟა ხაჩირაშვილი

როგორ წაადგებათ გორელებს მწვრთნელთა ხშირი ცვლა, ამას უახლოესი თამაშები გამოაჩენს.

**დათო დანელია**

# რუსმა გუბერნატორმა ქართულ პოლიციას ჯიბით აჯობა

**„დინამო"** რომ სახეს იცვლის, არახალი ამბავია. კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაფორმებას შეუდგა. ექვსი მოთამაშის გარდა ხელშეკრულება ყველასთან დაიდო — ექვსეულთან პირობებია შესათანხმებელი და როგორც „დინამოს" თავკაცობამ გვითხრა, პრობლემური აქ არაფერია, უკმაყოფილო არც ერთი მხარე არ დარჩება. იმ ფეხბურთელებთან, რომლებიც „დინამოს" ვეტერანებად ითვლებიან და გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან, კლუბმა სამთვიანი და ერთწლიანი კონტრაქტები გააფორმა, ხოლო ჭაბუკ ახალწვეულებთან შედარებით გრძელვადიანი ხელშეკრულებები გაიჩარხა. ყველაზე ხანგრძლივი კონტრაქტი კი საამწლიანია — ასეთია „დინამოს" სატრანსფერო პოლიტიკა.

ადრეც გაუწყეთ, რომ გუნდს თენგიზ სიჭინავასა და თემურ გადელიას დაბრუნება ეწადა, მაგრამ დინამოელთა სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. სიჭინავა და გადელია მოსალაპარაკებლად თბილისში ჩამოვიდნენ და „დინამოს" თავკაცობას რუსეთის პირველლიგელის, სმოლენსკის „კრისტალთან" ხელმოწერილი წინასწარი კონტრაქტები გადაუშალეს, თუ აქ მითითებულ პირობებზე უკეთესს შემოგვთავაზებთ, „დინამოში" თამაშზე ყაბულს ვიქნებითო. „დინამოს" ხელმძღვანელობის თქმით, კლუბის ბიუჯეტი მათ მოთხოვნებს ვერ გასწვდებოდა და სიჭინავა და გადელიაც კარიერას რუსეთში გააგრძელებენ. ერთი სიტყვით, რუსეთის პირველი ლიგის გუნდმა თბილისის „დინამოს" ხელი გადაუწია. ცნობისთვის: „კრისტალს" ამავე სახელწოდების მსხვილი საიუველირო ქარხანა სპონსორობს და სმოლენსკის გუბერნატორი მფარველობს.

**დავით თაგართქილაძე**

# ქიტესა მაზის კაცია

**„დილას"** რომ არ ულხინს, არახალი ამბავია. კლუბის თავკაცები გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობდნენ და ერთ-ერთ ისეთ ფეხბურთელად, რომელიც „დილას" მოაღონიერებდა, „ბელარუსის" „ტორპედო-მაზში" განათხოვრებულ ქრისტეფორე შატაკიშვილს მიიჩნევდნენ.

„ქიტესა" ორი წლის წინ გაემგზავრა ბელარუსს. ამ ხნის მანძილზე გორელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით რამდენჯერმე მოიკითხეს განათხოვრებული მოთამაშე. „დილა" „ტორპედო-მაზს" კარგა ხანს ედავებოდა, ან ნახევარმცველი დაგვიბრუნეთ, ანაც ახალი ხელშეკრულება გავაფორმოთ, არადა, სამართალი უეფაში გავარკვიოთო.

–ერთი კვირის წინ შეხვედრა შედგა. ანთალიაში, სადაც ბელარუსები შეკრებაზე იმყოფებიან, „დილას" წარმომადგენელი ჩავიდა. მოლაპარაკებას თავად ფეხბურთელიც დასწრებია, რომელსაც ბელარუსებთან თამაში თავიდანვე სურდა. ილაპარაკეს, გადაწყვიტეს და ხელი ხელს დაჰკრეს. შატაკიშვილმა „ტორპედო-მაზთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „დილას" საკომპენსაციო თანხა ერგო. გარიგებით ყველა კმაყოფილი დარჩა, ბელარუსებიც და ქართველებიც.

**დათო დანელია**


# რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. A ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი 3:0 შტურმი

1:0 ბათი (6), 2:0 შერინგემი (20), 3:0 კინი (86)
მანჩესტერ იუნაიტედი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, სილვესტრი, ბათი, კინი, სქოულზი (გრინინგი 76), ჩედვიკი, სოლსკიაერი, შერინგემი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, იბერტსბერგერი, შოპი, მაელიხი (გლიქა 46), შუპი (მარტენსი 66), ფლურკინი, კორსოში, მინავანდ ჩალი (საბიჩ 46), პაასი, ვასტიჩი
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
66 404 მაყურებელი

**რა** უნდა ითქვას თამაშზე, რომელიც ზუსტად ისე წარიმართა და ისეთი შედეგით დამთავრდა, როგორსაც ელოდნენ? ბევრიც არაფერი. უბრალოდ ვთქვათ, რომ გრაცელებმა ლიგაში თავიანთ მაქსიმუმს უწიეს.

თეორიულად, სტუმრებს მეოთხედფინალში გასვლა შეეძლოთ. ამისათვის, სულ მცირე, 3:1 მოგება სჭირდებოდათ, მაგრამ სამი კი არა, ერთიც ვერ გაიტანეს, საკუთარში კი ზუსტად სამი მიიღეს.

ბექჰემის, იორკისა და კოულის გარეშე მოთამაშე მანჩესტერელებმა საქმე მეოცე წუთისთვის მოითავეს, როცა ჯერ ნიკი ბათის შორეული, უძლიერესი და ულამაზესი დარტყმით, მერე კი სოლსკიაერ-შერინგემის სადა კომბინაციით სიდორჩუკი ორჯერ დაამწუხრეს.

ცხადი იყო, „იუნაიტედს" ალარაფერი ემუქრებოდა, ასეთ დროს კი ფერგიუსონის გუნდის ყურებას არაფერი სჯობს: ათეულობით-პასიანი კომბინაციები, ბურთის მრავალწუთიანი გათამაშებები და ეფექტური დარტყმები ერთმანეთს ცვლიდა. მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმის შუაში შეძლეს გრაცელებმა ფაბიან ბარტეზის შეწუხება, თუმცა ივიცა ვასტიჩის არცთუ ურიგო საჯარიმო დარტყმა ფრანგმა კუთხურზე მოიგერია. მერე იყო სქოულზის ჩინებული დარტყმა (სიდორჩუკმა იყოჩაღა), კიდევ ბევრი მომენტი და საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე გატანილი გოლი: სილვესტრის წამოწყებული შეტევა მასპინძელთაგან ერთ-ერთმა საუკეთესო ლუკ ჩედვიკმა გააგრძელა, ამის ჩაწოდებული სოლსკიაერმა ქუსლით კაპიტანს გადაუგდო და კინმაც ბურთი მეტოქის კარის დარაჯს ფეხებშუა გაუძვრინა.

„დღეს არა მარტო კარგი შედეგი, კარგი თამაშიც ვაჩვენეთ. ეს დონე სეზონის ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ. და კიდევ, ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი ჩვენმა გულშემატკივრებმაც შეიტანეს" — თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა, ვინც ბექჰემის არყოფნასაც შეეხო: „ჭორები აგორდა, თითქოს დევიდის თამაშით უკმაყოფილო ვიყო და იმიტომ არ ვათამაშე. არა, ბატონო, ის უბრალოდ დავასვენე".

ავსტრიელთა მწვრთნელი ივიცა ოსიმი ნამეტანი შეწუხებული არ ჩანდა: „ამ ორ გუნდს შორის განსხვავება ძალიან დიდია. თან ეს ყველა ცალკეულ კომპონენტსაც ეხება. „იუნაიტედის" დარი გუნდი მსოფლიოში თითო-ოროლაა, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ რაიან გიგზის გარეშე მანჩესტერელებს ლიგის თასის ფინალში გასვლა ნამდვილად გაუჭირდებათ".

ეფექტური გამარჯვების მიუხედავად, „მანჩესტერ იუნაიტედი" ჯგუფში მაინც მეორე ადგილზე გავიდა და შედეგად, მეოთხედფინალში შესაძლოა ისევ მადრიდის „რეალს" შეხვდეს.



მანჩესტერელი პოლ სქოულზი დიორდ კორსოშმა და მეკარე კაზიმირც სიდორჩუკმა ალყაში მოიმწყვდიეს

### ვალენსია 2:1 პანათინაიკოსი

0:1 ბასინასი (27პ), 1:1 ხუან სანჩესი (39), 2:1 ანგლომა (76)
ვალენსია: კანისარესი, ჟუკიჩი, აიალა, ალბელდა (აიმარი 64), ანგლომა, ბარახა, დეშამპი (ბიორკლუნდი 28), ზაჰოვიჩი, ვისენტე, დიეგო ალონსო (კარეუ 69), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
პანათინაიკოსი: კალკიასი, ოლივარესი, გუმასი, ფოკოლოსი, ფისასი, კარაგუნისი, ლიბეროპულოსი (სიგურდსონი 72), ვლაოვიჩი (ვარუხა 55), სეიტარიდისი, ბასინასი, ნასიოპულოსი (კუცურესი 46)
მწვრთნელი: სტრატოს აპოსტოლაკისი
გაფრთხილება: აიალა, გუმასი, კარაგუნისი
მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)
30 000 მაყურებელი

**„პანათინაიკოსის"** დამარცხება არაფერს ნიშნავს. მთავარია, რომ მეოთხედფინალში სამი ესპანური გუნდი გავიდა — თქვა მატჩის შემდეგ გამარჯვების გოლის გამტანმა ჟოსელინ ანგლომამ, რომელიც, სხვათა შორის, სულაც არაა ესპანელი — მერე კი დაამატა — არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნახევარფინალამდე ერთმანეთს არ გადავეყრებითო".

ანგლომას გოლი დანიელი არბიტრის, კნუდ ერიკ ფისკერის სიზუსტისადმი სიყვარულს მოჰყვა. დანიელმა ჯერ ბერძენ მეკარე კონსტანტინოს კალკიასის წამები დაუთვალა და ბურთი დროულად რატომ არ მოიშორეო, მისი კარისკენ თავისუფალი დარტყმა დანიშნა. მერე ფისკერმა ცხრა მეტრის წესის დარღვევა შენიშნა და დარტყმის ხელახლა შესრულება ბრძანა. ჰოდა, თავმოყვარე გუნდმა საჯარიმოს შიგნით დანიშნული თავისუფალი დარტყმიდან კი უნდა იხეიროს. მასპინძლებმა ბურთი გაათამაშეს, ზლატკო ზაჰოვიჩის დარტყმული მეკარემ მოიგერია და ანგლომას დამატებული ისევ კალკიასის ხელიდან ბადეში ამოჩნდა.

ისე, პირველ ტაიმშიც, როცა ხუან სანჩესმა ანგარიში გაათანაბრა, ბურთი ბერძენი მეკარის ხელიდან ასხლეტით გავიდა.

საერთოდ, თამაში ესპანელთა შეტევებით დაიწყო და სტუმართა იერიშები იშვიათობა იყო. მაგრამ პირველი გოლი სწორედ ბერძნებმა გაიტანეს. ალბელდამ საჯარიმოში გიორგიოს ნასიოპულოსი წააქცია და პენალტი ანგელოს ბასინასმა შეასრულა.

ამ გოლმა „ვალენსიას" ჯგუფში პირველი ადგილის დაკარგვის საშიშროება აგრძნობინა და მეტად გააქტიურა, გააქტიურებას კი სანჩესისა და ანგლომას გოლები მოჰყვა, თუმც მასპინძლებს ბლომად მომენტები არ ჰქონიათ.

მეორე ტაიმში „პანათინაიკოსის" თამაში უფრო გააზრებული გახდა და ერთხანს სტუმრები მოედნის შუაგულის სრულ ბატონ-პატრონებად იქცნენ. სანტიაგო კანისარესს რამდენიმე კარგი ნახტომის შესრულება მოუხდა. თუმცა ეს იყო და ეს — „პანათინაიკოსს" გარჯა სამ ქულად ვერ ექცა.

იშვიათი შემთხვევაა: გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი უკმაყოფილოა, ხოლო დამარცხებულისა — პირიქით. ექტორ რაულ კუპერმა თქვა, ჩვენებმა ცუდად ითამაშეს, მაგრამ რაკი გავიმარჯვეთ, ფეხბურთელებს მაინცდამაინც ვერ დავძრახავო.

სტრატოს აპოსტოლაკისს, როგორც ვთქვით, შეგირდთა თამაში მოსწონებია, მთავარია, რომ არ შევრცხვენილვართ, თორემ მოვიგებდით თუ წავაგებდით, სატურნირო თვალსაზრისით ერთი ფასი ჰქონდაო.

გიორგი დარჯანია

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 0:0 | 2:0 | 2:1 | 10:2 | 12 |
| 2 | მანჩესტერი | 1:1 | | 3:0 | 3:1 | 10:3 | 12 |
| 3 | შტურმი | 0:5 | 0:2 | | 2:0 | 4:10 | 6 |
| 4 | პანათინაიკოსი | 0:0 | 1:1 | 1:2 | | 3:8 | 2 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. B ჯგუფი

### მილანი 1:1 დეპორტივო

0:1 ჯალმინია (74პ), 1:1 შევჩენკო (86პ)
მილანი: როსი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა (ბა 61), მალდინი, პელეგრა, გატუზო, ალბერტინი, კოკო (სერჟინიო 70), ბობანი (ბირჰოფი 61), შევჩენკო, ხოსე მარი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ემერსონი, მაურო სილვა (პელდერი 23), ვიქტორი, ჯალმინია, ტრისტანი (კაპდევილა 64), მაკაი (პანდიანი 81)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: პელდერი, ალბერტინი, კოსტაკურტა, გატუზო
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
70 103 მაყურებელი

**„სან სიროს"** საპრესკონფერენციო დარბაზში შესულ მილანელთა მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის პირველად ეს ჰკითხეს: „გადადგომის შესახებ განცხადების დაწერას ხომ არ აპირებთ"?

მან უპასუხა: „საამისოდ მიზეზს ვერ ვხედავ. რაც შეეხება მიმდინარე მოვლენებს, ძალიან მწყდება გული, რომ ვერ გავედით იმ შეჯიბრების მეოთხედფინალში, რომელშიც კარგად ვითამაშეთ. დღეს, ცოტა მეტი იღბალი რომ გვქონოდა, უეჭველად გავიმარჯვებდით. „დეპორტივოს" წინააღმდეგ გამოცდილ ფეხბურთელებს ვენდე, მაგრამ გუნდში უამრავი პრობლემა იყო. კოსტაკურტამ მატჩის მსვლელობისას შეცვლა მთხოვა, ნატკენი კოჭი გაუმიზეზდა, ხოლო ალბერტინისა და გატუზოს, ამდენი ხნის გაცდენის შემდეგ, ბოლომდე დაუქანცავად სირბილს ვერც მოვთხოვდი".

შემდეგ მწვრთნელს იმ პენალტის შესახებ ჰკითხეს, მსაჯმა „დეპორტივოს" სასარგებლოდ რომ დანიშნა: „ეს სამარცხვინო პენალტი იყო" — უპასუხა ძაკერონიმ — „მსაჯმა იგი სწორედ მაშინ დაგვინიშნა, შეტევები არნახულად რომ გავაძლიერეთ და გოლს მივუახლოვდით. იმ თერთმეტმეტრიანმა ფეხები მოგვკვეთა".

ხოსე მარი („მილანის" თავდამსხმელი): „ყველანი დამნაშავენი ვართ, მსაჯმა ჩვენს წარუმატებლობაში დიდი როლი ითამაშა, მაგრამ მერწმუნეთ, მთავარი მიზეზი ეს არ ყოფილა. პირველ ტაიმში ხომ ბურთი კარში არ დაგვირტყამს. იმ პენალტთან დაკავშირებით კი ვიტყვი: იყო თუ არა სულერთია, რადგან მანამდე სერჟინიოს წინაალმდეგ დაარღვიეს წესი და ჯარიმა იქ უნდა დანიშნულიყო".

„დეპორტივოს" თავკაცი ხავიერ ირურეტა: „ბედნიერი ვარ ბიჭებს რომ ვუყურებ. დიდი სტრესი კი გადავიტანეთ, მაგრამ რა გაეწყობა, ეს ჩემპიონთა ლიგაა. ძალიან გამიკვირდა „მილანმა" პირველი 15 წუთის მანძილზე რომ არ შემოგვიტია. ჩვენი თავკაცი ორგანიზებული იყო, მათ კი შესვენებამდე კარში არ დაურტყამთ. ეს ტაქტიკური თამაში იყო, ფსიქოლოგიურად ძნელი და უფავორიტო".

როგორც ვხედავთ, მატჩის მნიშვნელობა და დაძაბულობა პრესკონფერენციაზეც აისახა. წინა დღეებში იტალიური პრესა წერდა, რომ „მილანისა" და „დეპორტივოს" შეხვედრა იქნებოდა ფინალი დამატებითი დროის გარეშე. მასპინძლებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ, სტუმრებს კი ფრეც აძლევდათ ხელს.

როგორც მატჩის მონაწილეთა ნათქვამებიდან ხედავთ, „მილანს", რომელსაც მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, პირველ ტაიმში კარშიც არ დაურტყამს. მასპინძელთა თამაშში არ იგრძნობოდა აგრესია და ერთსულოვნება, რასაც მაყურებელი უპირველეს ყოვლისა ელოდა. ცხადია, მილანელები ღელავდნენ, შინაგანად ინდომებდნენ, მაგრამ თუ ეს შინაგანი პროცესი თამაშზეც არ აისახა, ალბათ, გამარჯვება ძნელია.

შესვენების შემდეგ სხვა თამაში ვიხილეთ და აქ კაპიტნის, პაოლო მალდინის დიდ დამსახურებას ვხედავთ. „მილანის" სიმბოლოდ ქცეულმა კაცმა დაცვაში დიდი მიზიდულობის ძალა გამოიყენა — ესპანელთა ბევრი შეტევა სწორედ მასთან დასრულდა — ხოლო შეტევაში ლონივრული ნაკადი შეჰქონდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ხოლო შემდეგ, როდესაც ძაკერონის თქმისა არ იყოს, მილანელებმა მოწინააღმდეგის კართან ზეწოლა გააძლიერეს, მოხდა ის, რაც ამ ტიპის შეხვედრებში ხშირად მომხდარა: ლაკორუნიელთა მორიგი კონტრშეტევა პენალტით და გოლით დასრულდა. ამას თამაშის ეიფორიული მონაკვეთი მოჰყვა, რომლის დროსაც მომგებიან მდგომარეობაში ჩავარდნილმა „დეპორტივომ" აშკარა საგოლე მომენტები გაუშვა ხელიდან. ბოლოს, მილანელებმა მოიკრიბეს ძალა და პენალტით პენალტის წილ ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ...

### პარი სენ ჟერმენი 2:0 გალათასარაი

1:0, 2:0 კრისტიანი (3, 26)
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ალჟერინო, რაბესანდრატანა, დეუ, დისტინი, ლუქანი, არტეტა (ბენარბია 36), ე. სისე, დიუკრო, კრისტიანი (მადარი 70), ლერუა (ბენაკური 86)
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გალათასარაი: ტაფარელი, ემრე ასიქი, პოპესკუ (ფათიჰი 58), კაპონე, ჰაქანი (ფარუკი 46), სუათი (ბიულენთ აქინი 46), ერგუნი, ემრე ბელოზოღლუ, უმითი, სერქანი, ტარდელი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: სუათი, დიუკრო, სისე, დისტინი, ლუქანი
გაძევება: დიუკრო (87)
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
31 254 მაყურებელი

**პარიზის** „პარკ დე პრენსზე" „გალათასარაიმ" ორი გოლი გაუშვა და ამას 20 წუთით თამაშის შეწყვეტა მოჰყვა — მოედანზე თურქი გულშემატკივრები შეიჭრნენ.

ბრაზილიელი კრისტიანის ორმა შედეგიანმა დარტყმამ „პარი სენ ჟერმენს" შელახული თავმოყვარეობა აღუდგინა. ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ექვსი შეხვედრიდან ეს გახლდათ პირველი, რომელშიც ლუის ფერნანდესის შეგირდებმა მოიგეს, თუმც გამარჯვება საერთოდ არაფერს აძლევდათ.

58-ე წუთზე კი მატჩის პორტუგალიელ არბიტრს, ვიტორ მანუელ მელო პერეირას ფეხბურთელების შესვენება მოუხდა. ამ მომენტისთვის მეტოქეთა ქომაგებმა ერთმანეთის ცხვირპირის მტვრევა წამოიწყეს, ხოლო მოედანზე ორი თურქი გადაეშვა. მინდორზე შეჭრილი წყვილის აგრესიას „პარკ დე პრენსის" უსაფრთხოების სამსახურმა თავი გაართვა. მოგვიანებით კი პოლიციის პრეს-ცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც საავადმყოფოებში 56 დაზიანებული ადამიანი მიიყვანეს. მათგან 55 ფრანგი გახლდათ, ხოლო ერთი თურქი.

ჩხუბი ტრიბუნებზე სამ სხვადასხვა ადგილზე ატყდა. ქომაგთა გარკვეული ნაწილი ხელჯოხებით ყოფილა შეიარაღებული და ყველაფრის დაწყნარებას გვარიანი დრო დასჭირდა.

„ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი დავრჩი" — განაცხადა მატჩის შემდეგ პარიზელთა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა — „ეს გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო თვალსაზრისით ის არაფერს გვაძლევდა."

ხსენებული ორი გოლის გარდა — რომელთაგან მეორე პასიურ თამაშგარე მდგომარეობას მოჰყვა — პარიზელებს კიდევ ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები. სათადარიგო მადარს, მაგალითად, ტრიბუნაზე ჩხუბის დაოკების შემდეგ მესამე გოლის შეგდება უბრალოდ მართებდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

საუცხოო შესაძლებლობა ჰქონდა სტამბოლელ ემრესაც, მაგრამ მეკარის ჩამოტოვების შემდეგ დაუცველ კართან ოდნავი კუთხით დარჩენილმა წამი დაკარგა და შემდეგ სწორად ველარ დაარტყა.

პარიზელთა მეკარეს, ლიონელ ლეტიზის მანამდე სერქანის დარტყმული „მკვდარი ბურთის" მოგერიებაც მოუხდა.

შეხვედრაში, რომელიც დიდად მნიშვნელოვანი არ ყოფილა, „პარი სენ ჟერმენს" ნიკოლა ანელკა, ლორან რობერი და დიდიე დომი აკლდათ, ხოლო ალჟირიდან ახალდაბრუნებულმა ალი ბენარბიამ თავიდან სათადარიგოთა სკამზე ჯდომით დაიწყო.

სტამბოლელებს არ ჰყავდათ ბულენთი და ოკანი, გეორგ ჰაჯი კი სათადარიგოებში გაემწესებინათ.

ბაჩუნა ძიდია



„მილანს" ანდრეი შევჩენკოს გოლმაც ვერ უშველა

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეპორტივო | | 2:0 | 0:1 | 4:3 | 10:7 | 10 |
| 2 | გალათასარაი | 1:0 | | 2:0 | 1:0 | 6:6 | 10 |
| 3 | მილანი | 1:1 | 2:2 | | 1:1 | 6:7 | 7 |
| 4 | პსჟ | 1:3 | 2:0 | 1:1 | | 8:10 | 5 |

# ARRIVEDERCI ZACCHERONI — AVE CESARE



LA GAZZETTA DELLO SPORT



REUTERS

## ძაკერონის მაინც მადლობა უთხრეს, კალაძეს კი თერთმეტმა მალდინი დაუნიშნეს

**გუშინ** ალბერტო ძაკერონი „მილანის" მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნეს. წინა დღეს მან ჩემპიონთა თასის ხუთგზის მფლობელი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ვერ გაიყვანა. გუშინვე ჩააბარეს „მილანი" ჩეზარე მალდინის, რომელსაც გუნდის გაწვრთნაში მაურო ტასოტი დაეხმარება.

„დეპორტივოსთან" წარუმატებელი მატჩის შემდეგ (1:1) პრესკონფერენციაზე შესულ ძაკერონის პირველად ის ჰკითხეს, გადადგომას ხომ არ აპირებთო. მან უპასუხა, საამისოდ საბაბს ვერ ვხედავო. იმავ საღამოს ძაკერონის თაობაზე „მილანის" პრეზიდენტს, სილვიო ბერლუსკონისაც ჰკითხეს. „ამაღამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად შესაფერისი მომენტი არ არის. ხვალ ვილაპარაკოთ" — იყო პასუხი.

„ამაში ახალი არაფერია" — ამბობდა ძაკერონი — „სამი წელიწადია, პრეზიდენტი აშკარად ამჟღავნებს, რომ ჩემს გადაწყვეტილებებს არ ეთანხმება. მე თუ მკითხავთ, ეს ნორმალურია. სულ არაა აუცილებელი პრეზიდენტი და მწვრთნელი ერთმანეთს ყველაფერში უგებდნენ".

ბერლუსკონი კი ასე ბრძანებდა: „მორჩა, კლუბის სადავეებს კვლავ მე ავიღებ ხელში. გასული ორი წლის განმავლობაში ჩვენ შეთანხმებული ვიყავით, რომ მწვრთნელისა და მენეჯერ-დირექტორის საქმეებში არ ჩავერეოდი, მაგრამ დღეს, ასეთი ცუდი შედეგების შემყურე, ვრწმუნდები, რომ ყველაფერში, რაშიც მათ არ ვეთანხმებოდი, მართალი ვიყავი".

და აი, გათენდა ის ხვალინდელი დღე, რომელმაც საფეხბურთო სამყაროს ამცნო, რომ „მილანი" მადლობას უხდის ალბერტო ძაკერონის იმ ღვაწლისთვის, რომელიც მან სამი წლის მანძილზე გაწია და თანამდებობიდან ათავისუფლებს.

აქამდე ამბობდნენ, რომ კლუბში ძაკერონის შემცვლელად თურქი ფატიჰ თერიმი ესახებოდათ, მაგრამ იტალიური წესების თანახმად მწვრთნელს უფლება არ აქვს ერთ სეზონში სერია A-ს ორ კლუბში იმუშაოს, თერიმი კი თებერვლამდე „ფიორენტინას" ედგა სათავეში. ამრიგად, თერიმი გუნდის ხელმძღვანელად ძალიანაც რომ სურდეთ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ასეც იქნება, მილანელთა დირექტორატს სეზონის დასრულებამდე მოუწევს მოცდა.

ცხადია, არავის დავიწყებია ისიც, რომ უმუშევართა რიგებს სეზონის დასაწყისში „ინტერიდან" წასული მარჩელო ლიპის გვარ-სახელი ამძიმებს, ეს კი წარმოუდგენელია.

მანამდე?

მანმდე კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საქმეს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი, მილანელთა კაპიტნის პაოლო მალდინის მამა ჩეზარე მალდინი ჩაიბარებს, ახალგაზრდული გუნდის ხელმძღვანელ, ასევე ცნობილ ვეტერან მაურო ტასოტისთან ერთად.

ალბერტო ძაკერონი კი, ალბათ, ცოტა ხანს დაისვენებს და მოიგონებს, როგორ გადავიდა „შავ-წითელთა" კლუბში 1999 წლის ზაფხულში „უდინეზედან" და პირველივე სეზონში როგორ მოაგებინა იტალიის ჩემპიონის ტიტული.

წინა სეზონში ძაკერონის „მილანი" მესამე ადგილზე გავიდა, რაც ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იყო საკმარისი, მაგრამ შემდეგ, ყველაფერი აირია. პირველ ჯგუფურ ეტაპზე „ლიდს იუნაიტედისა" და „ბარსელონას" ზევით, პირველი ადგილის მოპოვების მერე, მეორე ეტაპზე გუნდმა ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო. სავალალო მდგომარეობა აქვს სერია A-ში — საეჭვოა ოთხეულში შესვლა მოახერხოს. და თუ მოახერხა? ამ შემთხვევაში სილვიო ბერლუსკონი ეგებ დაფიქრდეს — სჭირდება თერიმი, როცა ჰყავს მამა მალდინი? თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი.

–ხოლო ჩვენს გულშემატკივარს სხვა სადარდებელი აქვს: როგორი თვალით შეხედავს ახალი დამრიგებელი საქართველოს ნაკრების წევრს, კახა კალაძეს? იმედია, კარგით.

**ბაჩუნა ძიდია**



REUTERS



ეს ის მაურო ტასოტია, 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის მომგები „მილანის" კაპიტანი

## ფეხბურთის რეპორტაჟი



ინგლისური „ჩარლტონის" მცველმა კარლ ტაილერმა ქვედალიგელ „პორტსმუთთან" გააფორმა კონტრაქტი, პრემიერლიგურმა კლუბმა კი სანაცვლოდ 250 ათასი გირვანქა მიიღო. 31 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილს პირველდივიზიონური „შეფილდ იუნაიტედიც" გამოთქვამდა, მაგრამ წინა კვირას ეს ტრანსფერი ჩაიშალა. ტაილერი „ჩარლტონში" 1998 წლის ოქტომბრიდან ირიცხება და გუნდში ოცდათვრამეტჯერ ითამაშა, ახალ კლუბთან მან ორწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**იტალიის ჩემპიონატის ლიდერმა „რომამ" ესპანეთის მეორედივიზიონური მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელის სალვა ბალესტას შეძენის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ ეს ის ფეხბურთელია, რომელიც შარშან პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მაშინ იგი „რასინგში" თამაშობდა, სეზონირს დაწყების წინ კი მადრიდულ კლუბში ჩაირიცხა. თავად 25 წლის სალვას „ატლეტიკოსთან" ექვსწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. გავრცელებული ინფორმაციას იგი მალევე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ესპანეთში თამაში ურჩევნია და რომში გადასვლას არ აპირებს.**

ინგლისური „ევერტონის" თავდამსხმელმა კევინ კემპბელმა კლუბთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმება მას მალე უსრულდებოდა და გადაბირების მსურველიც ბევრი გამოუჩნდა, თუმცა ლივერპულში დარჩენა 2005 წლამდე არჩია. კემპბელი ლონდონის „არსენალის" და „ნოტინგემ ფორესტის" ყოფილი მოთამაშეა, „ევერტონში" იგი 1999 წელს თურქული „ტრაბზონსფორიდან" ჩაირიცხა მას შემდეგ, რაც ტრაპიზონულ კლუბში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. მაშინ „ევერტონმა" სანაცვლოდ თურქებს 3 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

**პორტუგალიურმა „ბენფიკამ" მადრიდის „რეალის" კამერუნელი მცველის, ჯერემი ნჯიტაპის შეძენის სურვილი გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ „სამეფო კლუბი" იმავდროულად ლისაბონელთა ესპანელმა მცველმა კარლოს მარჩენამ დააინტერესა და არ არის გამორიცხული, ეს ორი ფეხბურთელი ერთმანეთში გაცვალონ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „სევილიას" ყოფილი მოთამაშის, მარჩენას შეძენის სურვილს „რეალის" გარდა „ბარსელონა", „დეპორტივო" და მადრიდის „ატლეტიკოც" გამოთქვამენ.**

ჰოლანდიურ „როდას" „გრონინგენის" მწვრთნელი იან ვან დიკი ჩაუდგება სათავეში, ხოლო „როდას" მწვრთნელი სეფ ვერგიოსენი ბელგიურ „გენკში" გადავა სამუშაოდ. იან ვან დიკი „გრონინგენს" 1997 წლიდან წვრთნის. მისი ხელმძღვანელობით კლუბი უმაღლეს დივიზიონში აღზევდა. ჰოლანდიური სააგენტოების ცნობით, იან ვან დიკს „როდაში" მისი ორი ვაჟი — რიკელმე და გრეგორიც გადაჰყვება, რომლებიც ამჟამად „გრონინგენის" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები არიან.

**ინგლისის პირველი დივიზიონის ლიდერმა „ფულემმა" კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 4 მილიონ გირვანქად, „ნიუკასლ იუნაიტედის" მცველი ალენ გომა შეიძინა. 28 წლის ფრანგი ფეხბურთელი ამ დღეებში სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. გომა „ნიუკასლის" ძირითად შემადგენლობაში ბოლოს იშვიათად ჩნდებოდა. მისი შეძენით „პარი სენ ჟერმენიც" დაინტერესდა, მაგრამ „ფულემის" ფრანგმა თავკაცმა ჟან ტიგანამ იმარჯვა.**

ფრანგმა ნახევარმცველმა ფრედერიკ არპინიომ შოტლანდიურ „ჰიბერნიანთან" გააფორმა კონტრაქტი. 31 წლის ფეხბურთელი ბოლოს „ტრუაში" ირიცხებოდა, თუმც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და კლუბის გამოცვლა არჩია. აღსანიშნავია, რომ შოტლანდიურ კლუბში უკვე მეოთხე ფრანგი ფეხბურთელი ჩაირიცხა. არპინიო ახალ გუნდს უკვე შეუერთდა და არ არის გამორიცხული, სადებიუტო მატჩი უკვე მომავალ ტურში ჩაატაროს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ნახევარმცველს კარიერის უმეტესი წლები „სტრასბურში" გაუტარებია.

**ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ოვიედოს" მწვრთნელ რადომირ ანტიჩს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. „ესპანიოლის" წინააღმდეგ პრიმერადივიზიონის ტურის შეხვედრის დროს იუგოსლაველმა სპეციალისტმა მსაჯთან ცხარედ იკამათა. მან არბიტრს რამდენჯერმე დაუწუნა გადაწყვეტილება და აღშფოთდა, რომ მის გუნდს უსამართლოდ მოექცნენ. კამათის გამო ანტიჩი თავისი გუნდის ერთ თამაშს ტრიბუნებიდან ადევნებს თვალს. „ოვიედომ" გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ ფედერაცია აპელაციას ალბათ არ დააკმაყოფილებს.**

ნორვეგიელ ნახევარმცველ სტალე სოლბაკენს გულის შეტევა ჰქონდა და იგი სასწრაფოდ ჰოსპიტალში მოათავსეს: ფეხბურთელი „კოპენჰაგენის" ერთ-ერთი მორიგი ვარჯიშის დროს გახდა ცუდად. ექიმების ცნობით, სოლბაკენის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა მდგომარეობა ერთობ რთულია და მკურნალობის კურსი ალბათ კარგა ხანს გასტანს.

**ჰოლანდიელი ნახევარმცველის ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის გადაბირება ლონდონის „ჩელსის" სურს. თუმცა, როგორც იუწყებიან, ფეხბურთელის დათმობას „გლაზგო რეინჯერსი" ჯერჯერობით არ აპირებს. ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. კიდევ ერთი ცნობა ლონდონური კლუბიდან — „ჩელსიმ" გრაცის „შტურმის" 27 წლის ნახევარმცველ მარკუს შოპს დაადგა თვალი. ამ ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგაში 4 გოლის გატანა მოახერხა და სხვა კლუბების ყურადღებაც მიიპყრო.**

რუმინეთის ჩემპიონმა ბუქარესტის „დინამომ" იუგოსლაველი მცველი სლიან ვასილიევიჩი შეიძინა და მასთან ორწლიანნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. „გუნდის დაცვის ხაზის გაძლიერება გვსურს: ვთვლით, რომ ვასილიევიჩი ამაში დიდად დაგვეხმარება" — განაცხადა რუმინული კლუბის პრესატაშემ. 29 წლის ცენტრალური მცველი სადებიუტო მატჩს ალბათ ამ უქმეებზე ბუქარესტის „რაპიდის" წინააღმდეგ ჩაატარებს. აქვე ვთქვათ, რომ ეს ფეხბურთელი „დინამოში" იუგოსლავიის მეორედივიზიონური ბელგრადის „ზვეზდადან" გადავიდა.

**ბოსნიელმა თავდამსხმელმა ალენ შკორომ ხელი მოიტეხა და მარსელის „ოლიმპიკს" თვეზე მეტი ხნით დააკლდება: ექიმების განცხადებით, ფეხბურთელს ჯერჯერობით თაბაშირის სახვევი დასჭირდება. შკორო „მარსელის" ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა.**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

UEFA CUP

# რაიო? რაიო?!

## უეფას თასი. მეოთხედფინალის. საპასუხო მატჩები



პირველ მატჩში „ეინდჰოვენთან" გამარჯვება ლაუტერნელებმა ერთობ შეიფერეს

### პსვ — კაიზერსლაუტერნი (0:1)

„ლაუტერნის" მეკარე გეორგ კოხი დაშავებულია და ვერც დღეს ითამაშებს. თუმცა, თავისიანების საბრძოლოდ განსაწყობად ბევრს ილვწის და მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგეთა შანსები თანაბარია.

გერმანელები კარში კვლავ პირველი მატჩის გმირს, ჭაბუკ ვაიდენფელერს ჩააყენებენ. ითამაშებს მარიო ბასლერიც, რომელიც ამ ბოლო დროს ლიბეროს პოზიციას გაუშინაურდა. სამაგიეროდ, შესაძლოა, ნახევარმცველი ჯეფ შტრასერი და ვეტერანი შემტევი ოლაფ მარშალი დააკლდეთ. ამათი ამბავი თამაშის წინ გადაწყდებაო.

„ჩვენ ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსი გვაქვს — ამბობს „კაიზერსლაუტერნის" დამრიგებელი ანდრეას ბრემე — მართალია, ფრეც გვყოფნის, მაგრამ ფრეზე თამაში სისულელე იქნება. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მოწინააღმდეგეს უფრო რთული ამოცანის ამოხსნა მოუწევს".

მოწინააღმდეგე ერიკ გერეტსის „ეინდჰოვენია". ამათ გერმანიაშიც ბევრი მომენტები ვერ გამოიყენეს, ზოგი უზუსტობით, ზოგიც მეკარე ვაიდენფელერის ფანტასტიკური თამაშის გამო. „1:0 ჩვენთვის ცუდი ანგარიშია. მაგრამ თუ შინაც ისევე კარგად ვითამაშეთ, როგორც სტუმრად, შემდეგ წრეში გასვლის დიდი შანსი გაგვიჩნდება" — ამბობს გერეტსი.

კარგად რომ შეუტიო, კარგი თავდამსხმელებიც გჭირდება. ამიტომ დისკვალიფიცირებული იუგოსლავიელის, მატეა კეჟმანის შეცვლა ფილიპსელთა მთავარი საზრუნავია. გუშინ საღამომდე მასპინძლებს რუუდ ვან ნისტელროის დაბრუნების იმედი ჰქონდათ, მაგრამ...

მოშუშებული ვან ნისტელროის საქმეში ჩართვას პირველ მატჩშიც აპირებდნენ, მაგრამ თურმე საუეფო განაცხადების შეტანის ბოლო ვადა პირველი თებერვალი ყოფილა და ვინაიდან ამ დროისთვის ვან ნისტელროის გვარი არსად ეწერა, უეფა ფორვარდს სეზონის ბოლომდე ევროთასებზე თამაშის ნებას არ რთავს.

გუშინ „ეინდჰოვენის" გენერალური მენეჯერი პეტერ ფოსენი და ტექნიკური დირექტორი ფრანკ არნესენი შვეიცარიას გაემგზავრნენ უეფას ჩინოსნებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ უარი მიიღეს: რა ვქნათ, დებულებას ვერ დავარღვევთო — უპასუხეს სტუმრებს. ეინდჰოვენელები .არ დამცხრალან და უთქვამთ, კეთილი, მაგრამ თუ ნახევარფინალში გავედით, ვან ნისტელროის საკითხს ისევ დავუბრუნდებითო.

გერეტსი ასევე დაშავებული მცველის, ანდრე ოიერისა და დისკვალიფიცირებული კაპიტნის, მარკ ვან ბომელის შემცვლელების მოძებნას ეცდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ფაბერი, ნიკოფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, რომედალი, ლუსიუსი, ფოგელი, დე იონგი, კოლკა, ბრუგინკი
**კაიზერსლაუტერნი:** ვაიდენფელერი, რამზი, ჰ. კოხი, ბასლერი, შტრასერი, ბუკი, რატინიო, ხრისტოვი, კლოსე, ლოკვენცი, მარშალი
**მსაჯი:** ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

### ლივერპული — პორტუ (0:0)

გასულ ხუთშაბათს „ლივერპულმა" ამოცანა სანახევროდ შეასრულა. პორტუში გოლი არ გაუშვია, თუმცა არც გაუტანია. ბრიტანელებს მიაჩნიათ, რომ ნახევარფინალში გასვლა სავსებით ხელეწიფებათ: „უგოლო ფრე ურიგო არ არის — ამბობს ლივერპულელთა ვეტერანი ნახევარმცველი გარი მაკალისტერი — ახლა შინ ვთამაშობთ და გამარჯვების მეტი შანსი გვაქვს. თანაც „რომას" ცხელ-ცხელი მაგალითიც გვახსოვს. რომში ხომ 2:0 მოვიგეთ, შინ კი მოვეშვით და დავმარცხდით. ასეთი რამ აღარ განმეორდება".

ინგლისელთა ფრანგ მწვრთნელ ჟერარ ულიეს გადატვირთული კალენდარი და ტრავმები აღელვებს. მართლაც, შარშანდელზე მეტი მატჩი ლივერპულელებმა უკვე ჩაატარეს, სეზონის დამთავრებამდე კი ჯერ ორ თვეზე მეტია.

მასპინძლებს არ ეყოლებათ ნახევარმცველი ნიკ ბარმბი და შვეიცარიელი მცველი შტეფან ენჩოსი. ბარმბი კვირას, ასოციაციის თასის „ტრანმერთან" მატჩში დაშავდა, ხოლო ენჩოსი „პორტუსთან" პირველი ჭიდილის დროს. სამაგიეროდ, დაუბრუნდებათ მოშუშებული ფინელი იარი ლიტმანენი.

უიმედოდ არც პორტუგალიელები არიან. ინგლისს ხალისიანები ესტუმრნენ და ჯერათ, რომ შინ ვერგაკეთებულს სტუმრად მოახერხებენ: „მჯერა, ნახევარფინალში ჩვენ გავალთ. მართალია, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ფეხბურთელები გასამარჯვებლად არიან განწყობილნი. არ დაგვავიწყდეს, რომ „ლივერპულსაც" მოსაგები აქვს და აუცილებლად შეუტევს, ჩვენ კი კონტრდარტყმებს შევეცდებით" — განაცხადა პორტუელთა მწვრთნელმა ფერნანდო სანტოსმა.

„პორტუს" დაუბრუნდება რუსი ნახევარმცველი დმიტრი ალენიჩევი. მაგრამ, შესაძლოა, კაპიტანი ჟორჟე კოშტა დააკლდეთ, რომელმაც ტრავმები ვერაფრით მოირჩინა. თუ ასე მოხდა, კოშტას ადგილს ვეტერანი ბრაზილიელი ალოიზიო დაიკავებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლივერპული:** ვესტერველდი, კარაგერი, ბაბელი, ჰიპია, ციგე, შმიცერი, ჯერარდი, ჰამანი, მერფი, ლიტმანენი, ჰესკი
**პორტუ:** ოვჩინიკოვი, სეკრეტარიუ, ანდრადე, ალოიზიო, ნელსონი, პარედესი, ალენიჩევი, დეკო სოუზა, ნუნუ კაპუშუ, პენა, დრულოვიჩი
**მსაჯი:** კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

### სელტა — ბარსელონა (1:2)

„ბარსელონას" შეეძლო, დღევანდელი მატჩისადმი ინტერესი ერთი კვირის წინ დაეკარგა, მაგრამ ვერ მოახერხა — კაცნაკლულ „სელტას" ოდენ 2:1 მოუგო, რითაც გალისიელებს მრისხანე მეტოქის დაჯაბვნის არცთუ ურიგო შანსი დაუტოვა.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „ბარსას" მაშინ ლუის ენრიკე და რივალდო აკლდა, დღეს კი ისინიც ითამაშებენ. იმედი მაქვს, ჩემს ანგარიშს გავზრდიო — თქვა ლუის ენრიკემ, რომელმაც უეფას თასზე ორ მატჩში ითამაშა და ოთხი გოლი მიითვალა.

ამ ფეხბურთელებს და მათთან ერთად პატრიკ კლუივერტს ვიგოელთა მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი ძალიან უფრთხის: „არა მგონია, „ბარსელონამ" იმ განწყობით ითამაშოს, როგორმე შინ მიღწეული გამარჯვება არ დავკარგოო და დაცვაში ჩადგეს. რივალდო და კლუივერტი საკუთარ საჯარიმოში ვერ წარმომიდგენია, ისინი ცხადია, შეგვიტევენ".

„სელტაში" დიდი მატებაა — გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი კატანია დაუბრუნდა, თუმცა გუსტავო ლოპესი ფეხს იტკიებს და, შესაძლოა, ვერ ითამაშოს. ლოპესის საკითხი, ალბათ, ბოლო წამს გაირკვევა, რადგან ფერნანდესს იმედი არ დაუკარგავს, რომ იგი სასტარტო შემადგენლობაში ეყოლება.

„ბარსელონას" გაბრი დისკვალიფიცირებული ჰყავს, ხოლო ყველაზე სამწუხარო დანაკლისი მუხლზე საოპერაციო აბელარდოა.

„ხვალ შეიძლება ჩვენი ოცნება ახდეს — თქვა ოთხშაბათს ფერნანდესმა — ეს სულაც არ არის საფუძველმოკლებული, ერთი გოლიც გვყოფნის". დიახ, „სელტას" ერთი გოლი ჰყოფნის, ოღონდ იმ პირობით, თუ საკუთარ კარს მშრალად შეინახავს. ვფიქრობთ, ეს უფრო ძნელი იქნება, ვიდრე იმ ერთის გატანა — „ბარსელონამ" ხომ უეფას თასზე წინა ხუთ შეხვედრაში ათი გოლი გაიტანა.

ბევრია თუ ცოტა ათი გოლი? გააჩნია, რა თვალსაზრისით, კატალონიელ გულშემატკივართა გულის მოსაგებად ცოტა. ლუის ენრიკე ამბობს: „თასიც რომ მოვიგოთ, ბევრი ჩვენი ქომაგი იტყვის, დიდი ამბავი, თუ უეფას თასს შესწვდნენ, ეგ ხომ მეორეხარისხოვანი ტურნირიაო, მაგრამ ჩვენ ასე ნამდვილად არ ვფიქრობთ".

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტა:** პინტო, ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, ჯოვანელა, კოირა, კარპინი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი, კატანია
**ბარსელონა:** რეინა, რაიციგერი, ფ. დე ბური, კოკუ, სერხი, გვარდიოლა, პეტი, ლუის ენრიკე, ოვერმარსი, რივალდო, კლუივერტი
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

### რაიო ვალეკანო — ალავესი (0:3)

როცა ერთი გუნდი პირველ მატჩში მეორეს სამბურთიანი სხვაობით უგებს, საპასუხო შეხვედრის წინ თითქოს სათქმელიც აღარაფერია. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „ალავესმა" პრიმერადივიზიონში ორჯერ დაამარცხა „რაიო ვალეკანო",-მადრიდელთა ნახევარფინალში გასვლის შანსი უსასრულოდ მცირეა.

მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც და რაკი ის „რაიოს" მწვრთნელს ეკუთვნის, საყურადღებო უნდა იყოს. ხუანდე რამოსმა თქვა, ნურავინ იფიქრებს, რომ მხოლოდ პრესტიჟის გადასარჩენად ვიბრძოლებთ, ჩვენი მიზანი ნახევარფინალში გასვლააო.

ცხადია, სიტყვებს დაუსაბუთებლად ფასი არ აქვს და მწვრთნელის არგუმენტებსაც გავეცნოთ. ხუანდე რამოსის თქმით, „ალავესთან" მიმდინარე სეზონში სამჯერ დამარცხება, მათ შორის, ბოლო ორი მარცხი სამი დღის ინტერვალში, მეტისმეტია, ერთი კვირის წინანდელი 0:3, უბრალოდ, რაღაც გაუგებრობა იყო და ჩემპიონატის ბოლო ტურში ვალეკანოს უბნელებმა ვიტორიაში ღირსეულად ითამაშეს, ორი გოლი გაიტანეს.

თავს უფლებას მივცემთ და პატივცემულ მწვრთნელს შევეკამათებით. რატომ არ შეიძლება მეოთხედ დამარცხება? რაკიღა ღმერთი სამობითააო, ამბობენ? ან რატომ არ შეიძლება, ვიტორიული „გაუგებრობა" მადრიდის გარეუბანშიც განმეორდეს? და რა მოსატანია ის ორი გოლი, როცა იმავე მატჩში „რაიომ" ოთხი გაუშვა?

თავს იმის უფლებასაც მივცემთ, რომ ხუანდე რამოსის ნათქვამი უფრო სურვილად მივიჩნიოთ, ვიდრე რეალურად შესაძლებლად. კი ბატონო, „დეპორტივო" ჩემპიონთა ლიგაში „პარი სენ ჟერმენთან" 0:3 აგებდა და ოთხის გასატანად ტაიმზე ნაკლები დასჭირდა, მაგრამ ასეთი რამეები ვითომ ყოველდღე ხდება? თან „რაიო ვალეკანოც" არა „დეპორტივო".

და რომ მოიგოს (ცხადია, 4:0-ს ვგულისხმობთ)? მაშინ ვიტყვით, რომ „რაიო ვალეკანომ" შეუძლებელი შეძლო და ხუანდე რამოსს ბოდიშს მოვუხდით.

რამოსის ვიტორიელი კოლეგა ხოსე მანუელ ესნალ პარდო ფრთხილადაა. მას, მართალია, ნახევარფინალში გასვლა არ ეეჭვება, მაგრამ თავს იზღვევს, ჯერ ეს 90 წუთი მშვიდობიანად ჩავამთავროთ და უდიდესი წარმატება მერე ვიზეიმოთო. წარმატება კი მართლაც უდიდესი იქნება — „ალავესი" პირველად თამაშობს ევროტურნირზე და ნახევარფინალში გადის. ისე, „რაიოც" დებიუტანტია.

„ალავესს" დღეს ოსკარ ტელიესი და დელფინ ჯელი არ ეყოლება, რომლებიც დისკვალიფიკაცირებულნი არიან. რუმინელი კოსმინ კონტრა სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაშია, თუმცა მსუბუქი ტრავმა აწუხებდა.

„რაიო" სამი გოლის გაქვითვას ტრავმირებული მანუელ ჰელდერისა და კარლეს მინგოს გარეშე აპირებს. ვნახოთ, „ალავესს" ხომ უეფას თასზე ჯერ ერთი საგარეო მატჩიც არ წაუგია.

**სოლომონ გულისაშვილი**
**გიორგი დარჯანია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რაიო ვალეკანო:** ლოპეტეგი, ალკასარი, დე კინტანა, ბალესტეროსი, სეტვალსი, გლაუჩიო, ჰოშერი, კვედო, მიჩელი, სემბრანოსი, ბოლო
**ალავესი:** ერერა, კონტრა, კარმონა, ეგენი, ივან ალონსო, ასკოიტია, იბონ ბეგონია, პაბლო, ტომიჩი, კრუიფი, ხავი მორენო
**მსაჯი:** კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)



ვიტორიაში 3:0-ის მიუხედავად „რაიო ვალეკანო" — „ალავესი" დღესაც საინტერესო იქნება



გატანა-გახარებას კლუივერტი (№9) და ზენდენი ვიგოშიც შეეცდებიან

# მსაჯები ახალ პროფ-ილში



მიშელ ზენ რუფინენი და იოზეფ ბლატერი

**საუკუნეების** გასაყარმა საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ ბევრი ცვლილება მოიტანა. სიახლეებია სატრანსფერო ბაზარზე, ფეხბურთის წესებში, არის მრავალი გეგმა ახალი ლიგების შესაქმნელად.

ამას წინათ ნოვატორის როლში თვით ფიფას პრეზიდენტი, ზეპ ბლატერი მოგვევლინა. მსოფლიოს ფეხბურთის თავკაცი მსაჯთა ოსტატობის ასამაღლებლად პროფესიონალ მსაჯთა ინსტიტუტის შექმნას გეგმავს: „ფეხბურთი არსებითად შეიცვალა ბოლო წლებში, ამიტომაც პროფესიონალი მსაჯები გვჭირდება. არბიტრებისათვის მსაჯისთვის მსაჯობა ძირითადი სამსახური უნდა იყოს. ასე ყველასთვის უკეთესი იქნება“.

ზეპ ბლატერმა ახალი ინსტიტუტის მონახაზი, ალბათ, უკვე შეიმუშავა. მისი აზრით, ურიგო არ იქნება შვეიცარული, ოღონდ არასაფეხბურთო მოდელის გადმოღება. შვეიცარიელებს თავიანთი ეროვნული პროფესიული ჰოკეის ლიგის თამაშების რიგიანად განსასჯელად სწორედ ამგვარ ინსტიტუტებში გამობრძმედილი მსაჯები ჰყოლიათ გამწესებული.

ფიფას პრეზიდენტის იდეას მხარს აღმასრულებელი კომიტეტიც უჭერს, თუმც ფეხბურთის მამები იმასაც ხვდებიან, რომ სიახლეს მოწინააღმდეგეებიც ეყოლება. „გასაგებია, რომ ზოგი არბიტრი არ მოინდომებს, მსაჯობა მთავარ პროფესიად აქციოს, მაგრამ ფეხბურთს ახალ საუკუნეში ახალი, შესაბამისი დონე და სტრუქტურა სჭირდება“.

ფიფა ახალი იდეის მომავალს ასე უყურებს — ინგლისი, ესპანეთი, იტალია, გერმანია თავისუფლად შეძლებენ პროფესიონალი არბიტრების უზრუნველყოფას. მათზე ხელმოკლეებს კი მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას ჰპირდება.

ფეხბურთის განვითარებაზე არამარტო ფიფას პრეზიდენტი ფიქრობს. ამ უწყების გენერალური მდივანი, მიშელ ზენ რუფინენი, ფეხბურთის პოპულარიზაციით დაინტერესებულა. მან იმავე კონფერენციაზე, სადაც ზეპ ბლატერი მსაჯთა პროფესიონალიზმზე მსჯელობდა, მსოფლიოს ჩემპიონატების უფასო ტელეტრანსლაციის იდეა შესთავაზა კოლეგებს.

მისი აზრით, ჩემპიონატის გახსნის მატჩი და პლეი ოფის უმეტესი თამაშები უფასო ტელეარხებით უნდა გადაიცეს. გარდა ამისა, 2002 და 2006 წლის ჩემპიონატებში მონაწილე ეროვნული გუნდების გულშემატკივართ საკუთარ ქვეყანაში თავიანთი ეროვნული ნაკრების ყველა თამაშის უფასოდ ნახვის უფლება ექნებათ.



რომარიო ბავშვებს: მე რომ თქვენხელა ვიყავი...

# ყველა გოლი გოლია?!

## რომარიო ფედერაციას გაებუტა

**ბრაზილიის** ფეხბურთის ფედერაციას თითქოს ყველაფერი მოწესრიგებული აქვს, იმას ითვლის, ვის რამდენი გოლი გაუტანია. უპირველესი ბომბარდირი, ცხადია, პელეაო 1281 გოლით, რომარიოს კი 701 დაუთვალეს.

ახლახან რომარიოს „ჟურნალ დუ ბრაზილისთვის“ ინტერვიუ მიუცია, რომელშიც ფედერაციას ანგარიშს უწუნებს. სათვალავი ამერია, მაგრამ რვაას გოლზე მეტი რომ მაქვს გატანილი, ზუსტად ვიციო, ხოლო ახალგაზრდულ გუნდებში გატანილსაც თუ მივუმატებთ, პელეზე მეტც გამოსდისო.

რაკილა ასაკოვან მეგოლეს ასაკის, დიდ რიცხვებთან მწყრალად ყოფნის თუ სხვა რამ მიზეზის გამო თავისი გოლების ზუსტი რაოდენობა არ ახსოვს, პელესთან გაჯიბრებაც ხუმრობაში გაატარა და აღნიშნა, პელეს რეკორდთან მიახლოება ჩემი ოცნებაა, თუმცა უფრო მეტის გამტანი, ვიცი, აღარ ვარო.

სამაგიეროდ, რომარიო სრულიად სეიროზულად უტევს ზიკოს, უფრო სწორად კი ფედერაციას — ზიკო ჩემზე წინ რატომ დააყენეთო.

ფედერაციის ანგარიშით, ნაკრების შეხვედრებში პელემ 95 გოლი გაიტანა, ზიკომ 66 და რომარიომ 62. აქ შეცდომა არაა, რომარიო კი იმან აღაშფოთა, ახალგაზრდულ ნაკრებებში გატანილ გოლებს რატომ ითვლით, ეროვნულ გუნდში ვინ რა გააკეთა, ის დაითვალეთო. ამ ანგარიშით პელე 77 გოლის ავტორია, რომარიო — 55-ის და ზიკოს მხოლოდ 53 რჩება.

ისედაც განერვიულებული რომარიოსთვის „ჟურნალ დუ ბრაზილს“ თავისი ანგარიში წარუდგენია და ცეცხლზე ნავთი დაუსხამს. ჟურნალისტებს ნაკრების ოფიციალური მატჩები ცალკე გაურჩევიათ და აღმოჩენილა, რომ რომარიოს 35 შეხვედრაში 32 ბურთი გაუტანია, პელეს კი — 26-ში 26.

„ხედავთ, რას მიშვრებიან — უკვე ძალიან გაბრაზდა რომარიო — საინტერესოა, ეს მონაცემები რატომ არ გამოაქვეყნა ფედერაციამ. არადა, სულ ასე მიაქცევენ და საერთოდ, მარაგში ორ გოლს რომ მიმიმატებენ, ათს მაკლებენ“.

## ისრაელი

### თასის მერვედფინალი

ბეითარი (ბეერშევა) (I) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:1; ირონი (ქირიათ ატა) (I) — ბეითარ შიმშონი (თელ ავივი) (III) 2:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 0:2; მაკაბი (ნეთანია) — ბნეი იეჰუდა (თელ ავივი) 3:1; მაკაბი (ჰერცლია) (II) — ირონი (რიშონი) 1:4; ჰაპოელი (აშქელონი) (III) — ჰაპოელი (ბეერშევა) (I) 0:3

20 მარტს: მაკაბი (თელ ავივი) — მაკაბი (ნაზარეთი) (II); მაკაბი (ჰაიფა) — ცაფირირიმი (ჰოლონი)

### ამხანაგური მატჩი

ლესოტო 1:0 სამხრეთ აფრიკა

1:0 მაჯარა (85)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

III ჯგუფი. III ტური

ნასიონალი (ურუგვაი) 1:0 სან ლორენსო (არგენტინა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ხორხე უილსტერმენი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| სან ლორენსო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| კონსეპსიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

IV ჯგუფი. III ტური

სპორტინგ კრისტალი (პერუ) 0:1 კრუზეირო (ბრაზილია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემელეკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ოლიმპია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კრუზეირო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სპორტინგ კრისტალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |

V ჯგუფი. IV ტური

ელ ნასიონალი (ეკვადორი) 3:1 გუარანი (პარაგვაი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 6 |
| ელ ნასიონალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| გუარანი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| სთრონგესტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |

# სურენ, სულ შენი ბრალია!

**დიდი** ხმაურია სომხურ ფეხბურთში. ეროვნული ჩემპიონატი სამშაბათს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო ღირსშესანიშნავმა დღემ დაიგვიანა. საერთო საფეხბურთო წესრიგს ჩვენს მეზობლებში თურმე შვიდი გუნდის ბოიკოტი აღუდგა წინ. აქედან ექვსი დედაქალაქურია, მხოლოდ ერთი, გუმრის „შირაქია“ პროვინციული (კარგი გაგებით) საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ სომხეთში პირველობისთვის მათ გარდა კიდევ სამი გუნდი იბრძვის. შეთქმულთა შორის ქვეყნის ზეპური სახელებიც ფიგურირებს. მათ რიგებს „არარატი“ თავკაცობს. ერთ დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და იმავდროულად თასის მფლობელიც, დამოუკიდებელი სომხეთის 1996 და 1997 წლების საუკეთესო. აქვეა, ზემოთ ნახსენები პატარა „შირაქი“, რომელმაც 1999 წელს ქვეყნის ჩემპიონობა არავის დაუთმო. მათთვის მხარი აუბამთ „პიუნიკს“, „მიკას“, „კილიკიას“, „ყარაბახს“ და „ზვარტნოცს“. ეროვნულ ჩემპიონატს ჩაშლა ემუქრება. გუნდები სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის, სურენ აბრამიანის გადადგომას მოითხოვენ. ბრალდება ერთია: სურენ აბრამიანმა ვერ შეძლო ქვეყანაში ნომერ პირველი სპორტის სახეობა გაჭირვებული, საცოდავი მდგომარეობიდან გამოეყვანა. შემდეგ მოდის უკვე წვრილმანი პრეტენზიები, ტენდენციური მსაჯობა და სხვა.

ცუდადაა სურენის საქმე. მას ამაგოდ ესარჩლება სეხნია სურენ ბაგდასარიანი, ფედერაციის პრესატაშე: „ეს ბაგირის გადაქაჩვას უფრო ჰგავს. ზოგიერთი კლუბი ფედერაციის გავლენის შემცირებით არის დაინტერესებული, რათა მუსიკა თავად შეუკვეთოს. არგუმენტები სასაცილოა, წლების მანძილზე კლუბები არაობიექტურ მსაჯობაზე წუწუნებენ, მაგრამ ცუდი მსაჯი მსოფლიოს ყველა კუთხეში მოიძებნება. მთელი მსოფლიო ფეხბურთს თამაშობს და ცუდი მსაჯობის მიზეზით ბოიკოტით არავინ იმუქრება“.

# ბარსელონას აბელარდო ადარდებს

**ესპანელი** მცველი აბელარდო „ბარსელონას“ უკვე რამდენიმე ტურია, ვერ ეხმარება. თებერვლის ბოლოს ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მან მუხლის ტრავმა მიიღო. ამ დღეებში 30 წლის ფეხბურთელს ხელახალი გამოკვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ იგი დაახლოებით სამ თვეს ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას.



აბელარდო

„იმედი გვქონდა, რომ აბელარდო მალე გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა. ფეხბურთელს მარცხენა მუხლი ძლიერ აქვს დაშავებული და სულ მცირე სამ თვეს ვერ ითამაშებს“ — განაცხადა კატალონიური კლუბის ექიმმა ხოსეპ ბორელმა.

აბელარდო „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. კატალონიური კლუბის დაცვის ცენტრს მის არყოფნაში ჰოლანდიელები — მიხაელ რაიციგერი და ფრანკ დე ბური გაამაგრებენ.

აქვე ვთქვათ, რომ აბელარდო „ბარსელონას“ ღირსებას 1993 წლიდან იცავს. „კამპ ნოუზე“ იგი ხიხონის „სპორტინგიდან“ გადავიდა.

# ბირჰოფმა დაუმს სტამბოლზე ხელი უკრა

**სტამბოლის** „ბეშიქთაშის“ ახალდანიშნულ მწვრთნელს, გერმანელ კრისტოფ დაუმს თანამემამულე ოლივერ ბირჰოფის გადაბირება განუზრახავს. ამას წინათ ბირჰოფის ახლანდელი გუნდი, იტალიური „მილანი“ ცოტა ხნის წინ იტალიური კლუბი სტამბოლში იქაურ „გალათასარაისთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის ჩასატარებლად ჩავიდა. დაუმი სწორედ მაშინ შეხვედრია ბირჰოფს და „ბეშიქთაშთან“ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება შეუთავაზებია, მაგრამ ამაოდ.

„დაუმს მართლაც შევხვდი. ის დიდი მწვრთნელია და ბევრის მიღწევა შეუძლია, თუმცა ამჯერად ჩემი „ბეშიქთაშში“ გადასვლა გამორიცხულია“ — განაცხადა ბირჰოფმა. არადა, გერმანელ თავდასხმელს მილანში ბევრს აკრიტიკებენ და, როგორც ამბობენ, სეზონის ბოლოს ის ალბათ „სან სიროს“ დატოვებს.



ოლივერ ბირჰოფი

# რაკეტა უმეთაუროდ გაფრინდა

13 მარტი

**დალასი 122:98 ნიუ ჯერსი**

**დალასი:** ნეში (6 ქულა, 11 პასი), ფინლი (25), ჰოვარდი (27), ნოვიცკი (25), ბრედლი (12); მაქსველი (11), ეისლი (7), პარვი (3), ბაკნერი (2), ნახერა (2), ტრენტი (2)

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (15), ჰარისი (10), ვან ჰორნი (9), მარტინი (7), ემმეიერი (11); ნიუმენი (18), ჯექსონი (11), ვილიამსი (10), სამაკე (4), დუგლასი (2), სტეფანია (4 წუთი, 1 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება)

დანამდვილებით ვერ გეტყვით, „ნიუ ჯერსის" ქართველმა ცენტრმა ვლადიმერ სტეფანიამ თავისი მუდმივი თავსატეხი, მუხლის ტრავმა საბოლოოდ მოიშორა თუ არა, მაგრამ სამშაბათს დალასში ჩვენებური რამდენიმე წუთით, მაგრამ მაინც გამოჩნდა მოედანზე. იგი შეხვედრის ბოლოს, როცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ჩაერთო თამაშში და მის მონაგარს თავად ნახავთ.

დალასის სტუმარ ნიუჯერსელ „ბადეებს" გამარჯვების თითქმის არავითარი შანსი არ ჰქონდათ. იქაური „მავერიქსი" და მისი შედეგი საშუალებას იძლევა, ეს გუნდი დღესდღეობით ბობოლათა მარაქაში გავრიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ტეხასელებს აგერ ბოლო ათი წელია, პლეი ოფი თვალით არ უნახავთ. თუმც რანი იყვნენ ადრე, ეს ტეხასელებს დღეს სულ არ აღელვებთ. რაც მთავარია, წლეულს ხომ მოვხვდებით იქო, ამბობენ ისინი. უფრო მეტიც, „დალასს" გულში ამოუჭრია დასავლეთის მოწინავე ოთხეულში მოხვედრა, რაც მას პირველ წრეში მოედნის უპირატესობას დაუბევებს, ეს კი დღევანდელი გადასახედიდან სავსებით რეალური ჩანს. „მავერიქსი" სტაბილური გუნდია. წვრილფეხობასთან თითქმის არ აგებს. ამ ორიოდე კვირის წინ ვერნონ მაქსველის და ჯუონ ჰოვარდის დამატებით კი კიდევ უფრო მოძლიერდა. ამიტომაც „ნიუ ჯერსის" გამარჯვებას არავინ ელოდა.

„ბადეები" მაინც მედგრად დაუხვდნენ პირველივე წამებიდან შტურმზე გადასულ მასპინძლებს და პირველი ტაიმი ოდენ ოთხი ქულით — 52:56 — დათმეს, თუმც ტაიმის ბოლოს სერიოზული დანაკლისიც განიცადეს, კენიონ მარტინმა ტრავმა მიიღო და აღარც გამოჩენილა მოედანზე. მარტინი პირველ ნახევარში კარგად იჭერდა ტეხასელთა ახალწვეულ ჰოვარდს და მისმა თამაშიდან გამოთიშვამ დალასელს სტუმართა ფარისკენ მწვანე შუქი აუნთო. ჰოვარდმა მესამე მეოთხედის დასაწყისში ზედიზედ სამი ბურთი ჩააგდო და ერთი მონაკვეთი 14:2 მოაგებინა თავისიანებს, რამაც საბოლოოდ არია სტუმრები და „დალასმა" მორიგი იოლი გამარჯვება ჩაიწერა შესაბამის გრაფაში.

**ტორონტო 97:101 მილუოკი**

**ტორონტო:** კარტერი (24)

**მილუოკი:** ალენი (29), ტომასი (23), კასელი (21), რობინსონი (18)

**ატლანტა 109:99 ვანკუვერი**

**ატლანტა:** შენდერსონი (23 ქულა, 11 მოხსნა), ტერი (22), კუკოჩი (20 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა)

**ვანკუვერი:** ბიბი (27), აბდურ-რაჰიმი (21 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ იორკი 98:79 კლივლენდი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (20), კემბი (18)

**კლივლენდი:** გეტლინგი (13)

**ორლანდო 108:114 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 102:102)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (25 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), მილერი (23)

**საკრამენტო:** ვებერი (33 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), სტოიაკოვიჩი (25), თურქოღლუ (18)

**ჰიუსტონი 127:118 ინდიანა**

(ძირითადი დრო 92:92)

**ჰიუსტონი:** ნორისი (28), ტეილორი (27 ქულა, 13 მოხსნა), მობლი (27 ქულა, 10 მოხსნა)

**ინდიანა:** როუზი (39 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), ონილი (28 ქულა, 18 მოხსნა, 8 დაფარება), ჰარინგტონი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი 99:90 პორტლენდი**

**სიეტლი:** პეიტონი (31)

**პორტლენდი:** ვოლესი (19)

**ლეიკერსი 112:107 ბოსტონი**

**ლეიკერსი:** ონილი (28 ქულა, 11 მოხსნა), ფიშერი (26 ქულა, 8 პასი, 6 ჩაჭრა), ფოქსი (21)

**ბოსტონი:** პირსი (42), უოლკერი (23 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)

13 მარტმა ერთობ გაახარა კალათბურთის გულშემატკივრები. იმ დღით დარბაზში მისული ქომაგობა ძირითადად კმაყოფილი დარჩა თამაშებით, განსაკუთრებით ჰიუსტონელებმა ისიამოვნეს, რადგან ადგილობრივმა „როკიტსმა" უკიდურესად დაძაბულ შეხვედრაში მხოლოდ მესამე დამატებით დროში გატეხა „ინდიანა პეისერზი". ასეთი რამ კი იშვიათი მოვლენაა.

არადა, იმ დღით ჰიუსტონელთ ნამდვილად არ ეზეიმებოდათ. „როკიტსმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდის ლიდერი 17 წლის განმავლობაში, ჰაკიმ ოლაჯუონი სეზონს გამოტოვებს და იქნებ საერთოდაც ველარ შეძლოს თამაში. ოლაჯუონმა ორიოდ დღის წინ ფეხი იტკინა, მაგრამ ჰაკიმს გაცილებით დიდი პრობლემა აწუხებს, ვიდრე ფეხის ტრავმაა. მას სისხლის შემადგენლობის პროპორცია დარღვეული აქვს და საგანგებო მკურნალობას საჭიროებს, რაც დაახლოებით სამ-ექვს თვეს, ან იქნებ მეტს გასტანს.

ამდენად ამ სეზონში „რაკეტებს" ბებერი ჰაკიმის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ. არადა, ისინი პლეი ოფისთვის იბრძვიან და ეს მათთვის მძიმე დანაკლისია.

პლეი ოფისთვის იბრძვის „ინდიანაც", რომელსაც იმედი ჰქონდა, ეს ცუდი ცნობა დამთრგუნველად იმოქმედებდა ჰიუსტონელებზე, მაგრამ შეცდა. უჰაკიმო „როკიტსს" რისხვად დაატყდა თავს 21 წლის ინდიანელი ჯერმენ ონილი, რომელმაც კარიერის საუკეთესო მატჩი ითამაშა და კიდევ ორჯერ რომ დაეფარებინა მასპინძლებისთვის, უიშვიათესი სამმაგი დუბლის ავტორი გახდებოდა. მის თანაგუნდელ ჯალენ როუზსაც სულ ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე. სამაგიეროდ, იგი შეასრულა მასპინძელთა გამთამაშებელმა სტივ ფრენსისმა (16 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), თუმც მატჩის გმირი სულ სხვა გახდა. მუჩი ნორისის სახელი იქნებ არ გაგეგონოთ, მაგრამ აქ გეტყვით, იგი „ჰიუსტონში" მყარი სათადარიგოა და რაღაც სასწაულით ეს თამაში პირადად მოაგებინა თავისიანებს. ძირითადი დროის დამთავრებამდე ორიოდ წამით ადრე სამიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. მესამე ოვერტაიმში ნორისმა ბოლო მოუღო თანაბარ თამაშს, კარიერაში სარეკორდო, 28 ქულიდან მან 11 მესამე დამატებით ხუთწუთეულში ჩააგდო და უზომოდ გაწელილ მატჩსაც წერტილი დაუსვა.

არ გაუმართლა „ინდიანას" მდევარ „ბოსტონსაც", რომელიც „ლეიკერსს" სტუმრობდა. სტუმარმა პოლ პირსმა ჩემპიონებს კარიერაში სარეკორდო, 42 ქულა ჩაუგდო, მაგრამ უფრო დიდი ფასი დაიდო ლეიკერსელი დერიკ ფიშერის ასევე სარეკორდო მაჩვენებლებმა, 28 ქულამ და ექვსმა ჩაჭრამ.

ველარ იცნობა „პორტლენდი", სიეტლელმა გერი პეიტონმა პირადად დაჩაგრა უწინ დასავლეთის უძლიერესი, აწ კი კონფერენციაში მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითებული „ბლეიზერსი". „პორტლენდმა" ზედიზედ მეოთხედ წააგო.

წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილს აღარც „პორტლენდი" უდგას სათავეში და აღარც „ლეიკერსი". დღესდღეობით პირველობა „საკრამენტომ" იგდო ხელთ, თუმც 13 მარტს ძლივს გადაურჩა ადგილის დაკარგვას. „მეფეებმა" რომ იმარჯვეს, სტუმართა ლიდერ ტრეისი მაკგრეიდის უნდა უმადლოდნენ, რომელმაც მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე მასპინძელთა ბედად ააცილა და შეხვედრაც ოვერტაიმში გადავიდა. მაკგრეიდი არც დამატებით დროში ბრწყინავდა, სირენამდე წუთით ადრე კი მასპინძელთა გამთამაშებელ ბობი ჯექსონს სახეში ბურთი სთხლიშა. ჯაბანი არც ეს აღმოჩნდა და სანამ ძირს გაგორებულ მოჩხუბართ გააშველებდნენ, თამაში ორი წუთით შეწყდა. ცხადია, ორივე გააძევეს, მაკგრეიდის გარეშე კი „ორლანდო" წასაგებად გაიწირა.

ბებერმა ხორვატმა ტონი კუკოჩმა აშკარად გამოაცოცხლა დაოსებული „ატლანტა ჰოქსი". ახალგამომცხვარი ლიდერის წყალობით ჯორჯიელებმა ზედიზედ მეორედ იმარჯვეს, თავად კუკოჩმა კი კარიერის მესამე სამმაგი დუბლი შეასრულა.

**ირაკლი ფირცხვილი**




სიეტლი — პორტლენდი. ჭელანი მაკკოი (ბურთით) და პორტლენდელი რაშიდ ვოლესი



ტორონტო — მილუოკი. ტორონტოელმა ჯერომ ვილიამსმა ჩატენა

## კვირის მოთამაშე
## დერიკ ანდერსონი
### • სან ანტონიო •

„სან ანტონიო სფურზმა" წინა კვირაში ოთხივე თამაში მოიგო, ამდენად კვირის მოთამაშის ტიტულიც ამ გუნდის მოთამაშისთვის იქნებოდა უპრიანი. „სფურზის" გამოკვეთილი ლიდერი ტიმ დანკანია და მას არც იმ კვირას უთამაშია ურიგოდ, თუმც ტიტული მას კი არა, მის თანაგუნდელ დერიკ ანდერსონს ხვდა წილად და სავსებით დამსახურებულადაც. ანდერსონმა ამ ოთხ მეტოქესთან საშუალოდ 6,3 მოხსნასთან ერთად 22,8 ქულაც მოიხვეჭა, რაც ერთბაშად შვიდი ქულით აღემატება მის საშუალო სეზონურ მაჩვენებელს.

ორშაბათს ვანკუვერში იქაურ „გრიზლიზს" ანდერსონმა 25 ქულა ჩაუგდო და „სფურზს" 91:77 მოაგებინა. ერთი დღის შემდეგ „სან ანტონიომ" ასევე იოლი გამარჯვება მოიპოვა სიეტლში, 101:73. კვირის რჩეული აქ ოდენ 16 ქულას დასჯერდა, თუმც მისი გუნდი მის თავგამოდებას სულაც არ საჭიროებდა. აი, მომდევნო ორ შეხვედრაში „სფურზს" და ანდერსონს დიდი ჯაფა დაადგათ, ხუთშაბათს და პარასკევს ორი გასვლა უწევდათ ორ ბობოლასთან — ჯერ „პორტლენდთან" და მერე „ლეიკერსთან". ანდერსონის შემწეობით „დეზებმა" ეს ბარიერიც




იოლად დაძლიეს. კვირის მომავალმა რჩეულმა „პორტლენდს" 29 ქულა მიართვა და „სფურზს" 93:79 მოაგებინა. „ლეიკერსთან" კი 21 ქულა მოიხვეჭა და ჩემპიონთა 93:89 დამარცხებაში ლომის წილი დაიდო.

თანაგუნდელ ტიმ დანკანის გარდა ანდერსონს კვირის მოთამაშის წოდებაში ეცილებოდნენ: დევიდ ვესლი (შარლოტი), ჯერი სტექჰაუზი (დეტროიტი), დირკ ნოვიცკი (დალასი), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), დიკემბე მუტომბო (ფილადელფია) და მარკუს კემბი (ნიუ იორკი).

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ფილადელფია* | 47 | 16 | 74,6 |
| ნიუ იორკი | 38 | 26 | 59,4 |
| მაიამი | 38 | 27 | 58,5 |
| ორლანდო | 34 | 29 | 54,0 |
| ბოსტონი | 27 | 37 | 42,2 |
| ნიუ ჯერსი | 22 | 44 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 15 | 48 | 23,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 39 | 24 | 61,9 |
| შარლოტი | 37 | 27 | 57,8 |
| ტორონტო | 35 | 30 | 53,8 |
| ინდიანა | 27 | 35 | 43,5 |
| დეტროიტი | 24 | 39 | 38,1 |
| კლივლენდი | 23 | 40 | 36,5 |
| ატლანტა | 20 | 45 | 30,8 |
| ჩიკაგო | 11 | 51 | 17,7 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო | 44 | 19 | 69,8 |
| იუტა | 43 | 19 | 69,4 |
| დალასი | 41 | 23 | 64,1 |
| მინესოტა | 38 | 26 | 59,4 |
| ჰიუსტონი | 36 | 29 | 55,4 |
| დენვერი | 31 | 35 | 47,7 |
| ვანკუვერი | 20 | 45 | 30,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 43 | 19 | 69,4 |
| ლეიკერსი | 42 | 21 | 66,7 |
| პორტლენდი | 42 | 22 | 65,6 |
| ფინიქსი | 37 | 25 | 59,7 |
| სიეტლი | 33 | 33 | 50,0 |
| კლიპერსი | 22 | 44 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 48 | 25,0 |

* — გავიდა პლეი ოფში



*ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენს ქვეყანას კალათბურთის სლოვენიელი სპეციალისტი სტუმრობდა. ქართველთათვის კარგად ცნობილი „სლოვანის" ერთ-ერთი მწვრთნელი, ლოიზე მილოსავიჩევიჩი საქმიანი იერით ადევნებდა თვალს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, ხელში კალამი ჰქონდა მომარჯვებული და დროგამოშვებით რაღაცას ინიშნავდა. ყოველივემ ამ პიროვნებისადმი ინტერესი აღგვიძრა და სლოვენიელს ინტერვიუ ვთხოვეთ, რაზეც ღიმილით დაგვეთანხმდა.*

# მოდი, ვნახოთ საქართველო

## პირში მძრახველი სლოვენიელის განაჩენი:

## საერთო დონე — ძალიან დაბალი. თამაში — ძველმოდური. ტაქტიკა — ნული. მსაჯობა — ოოო...

## და იმედი: ცქიტიშვილი ნამდვილი მოვლენაა

**— შეგვიტყვეთ, ჩვენებურთა „სლოვანის" ერთ-ერთი მწვრთნელი ყოფილხართ...**

— ასეა, ტომო მაჰორიჩის თანაშემწე ვარ და „სლოვანის" ქართველებსაც ძალიან კარგად ვიცნობ. გარდა ამისა, სლოვენიის კალათბურთის ფედერაციაში ახალგაზრდულ, ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრებების კურატორიც გახლავართ. თავის დროზე სლოვენიელ კადეტთა მთავარ მწვრთნელადაც მიმუშავია.

**— ჩვენს ქვეყანას რა მიზნით ესტუმრეთ?**

— ჩამოვედი, რომ „სლოვანისთვის" საინტერესო მოთამაშეები შევათვალიერო. საქართველოში ჩვენი კლუბის გენერალურმა მენეჯერმა, იანეზ რაიგლმა გამომგზავნა და დავალებაც სწორედ ასეთი მომცა. ბოლო დროს ხომ თქვენებურ კალათბურთელებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა.

**— „სლოვანისთვის" სასურველი მოთამაშე თუ შეიგულეთ?**

— ჯერჯერობით ვერავინ შევარჩიე, თქვენი ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი ვნახე და ვერ გეტყვით, რომ ვინმე მომეწონა. აქ ცხადია, უფროსი ასაკის კალათბურთელებს არ ვგულისხმობ, ჩვენ ხომ აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ.

**— გამოდის, საქართველოში დღეს სრულიად პერსპექტიული მოთამაშეები არ არიან...**

— ასეც ნუ გაიგებთ, ნიჭიერები რომ ხართ, ჩვენთვის კარგად ცნობილი ამბავია.

**— ყოველ შემთხვევაში, ჩანს, თქვენი ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა.**

— ამ ეტაპზე ჩემი კლუბის ხელმძღვანელობასთან პროტექციას ვერავის გავუწევ. ისე კი, რამდენიმე კარგი მომავლის მქონე ნორჩი კალათბურთელი ვნახე, რომელთაც კიდევ დავაკვირდებით. მწვრთნელთა გეგმაზომიერი მუშაობის შემთხვევაში ორ-სამ წელიწადში ეს ბიჭები, შესაძლოა, „სლოვანშიც" აღმოჩნდნენ.

**— ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატზე რა აზრი შეგექმნათ?**

— საერთო დონე ძალიან დაბალია. თქვენ ძველმოდურ კალათბურთს თამაშობთ, ასე თუ გააგრძელეთ, წარმატებაზე ნურც იფიქრებთ. მსაჯობამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თქვენს არბიტრებს საუკუნეა, კალათბურთისთვის აღარ უყურებიათ.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— უპირველესად, ალბათ, ეკონომიური პირობები უნდა გაუმჯობესდეს, რომ კალათბურთსაც მეტი ყურადღება მიაქციოთ. მე რაც ვნახე, თქვენთან მოთამაშეებს არანაირი პირობები არ აქვთ, აქედან გამომდინარე, ძნელია, მათ შედეგი მოსთხოვო. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მწვრთნელებიც და მსაჯებიც სისტემატურად მიავლინოთ საზღვარგარეთ, რათა ცოდნა გაიღრმავონ. თქვენი გუნდები ტაქტიკური თვალსაზრისითაც ნულზე არიან, პირადად მე სურვილი გამიჩნდა, რომ შემდეგი სტუმრობისას თანამედროვე საკალათბურთო ლიტერატურა ჩამოვიტანო და თქვენს ფედერაციას უსასყიდლოდ გადავცე. მზად ვარ, დაგეხმაროთ.

**— ცნობილია, რომ სლოვენიელები ჩვენი ეროვნული გუნდის დახმარებასაც აპირებთ. ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ციკლისთვის საქართველოს ნაკრები ხომ სწორედ თქვენს ქვეყანაში გაივლის მზადებას...**

— ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. თქვენს ნაკრებს ყველანაირ პირობას შევუქმნით, რათა იგი ნორმალურად მოემზადოს. ვიცით, რომ ძალიან გიჭირთ და ამ ნაბიჯსაც ამიტომ ვდგამთ. ისე არ იფიქროთ, თითქოს რაიმე ინტერესი გვამოძრავებდეს. ჩვენ მხოლოდ საქართველოს კი არა, ყველას ვეხმარებით.

**— ჩვენთან იმაზეც საუბრობენ, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, შესაძლოა, „სლოვანის" მთავარმა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა უთავკაცოს.**

— ამაზე მეც მსმენია, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. მაჰორიჩი კარგი მწვრთნელია და მისი ნდობა ნამდვილად შეიძლება. ისე, ამ საკითხთან შეხება არ მაქვს.

**— „სლოვანის" ქართველებზე რას გვეტყვით, თქვენ ხომ პირადად მუშაობთ მათთან?**

— ძალიან კარგი ბიჭები არიან, კალათბურთელებადაც ვარგან და პიროვნებებადაც. ჩვენთვის რაც მთავარია, ვარჯიში უყვართ, არ ზარმაცობენ. ბოისაც, ცქიტიშვილიც, უგრეხელიძეც და ტულუშიც მეტისმეტად ბევრს შრომობენ და ასე თუ გააგრძელეს, ბევრს მიაღწევენ. ერთის თქმაც მსურს — ნიკა ცქიტიშვილი ნამდვილი მოვლენაა, მისი სახით ქართველებს ძალიან მაღალი დონის კალათბურთელი გეზრდებათ. ვფიქრობ, ორ-სამ წელიწადში იგი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რომელიმე გუნდშიც მოხვდება. დარწმუნებული ვარ, რომ „ცქიტო" დიდ კალათბურთს ითამაშებს.

**გიორგი გიგაური**

# ჯორდანი ბრუნდება?!

## არა, უბრალოდ, ფონას ფიქლებ, თქვა კალათბურთის მეფემ

**მაიკლ ჯორდანი** კალათბურთს უბრუნდება!

ლეგენდარული კალათბურთელის გულშემატკივრებს გავაწბილებთ, რადგან ეს მხოლოდ ჭორი გახლავთ, რომელიც არაერთხელ დაირხა მას შემდეგ, რაც დიდი კალათბურთელი პენსიაზე გავიდა. თუმც ახლა ეს ჭორი რომელიმე პატარა ქალაქის გაზეთმა კი არა, თვით პოპულარულმა ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეიტედმა" გაავრცელა და ბევრმაც ამიტომ დაიჯერა. აგრეთვე იმიტომაც, რომ ხალხის გულებში კვლავ ღვივის იმედი, რომ „მისი ჰაერის უდიდებულესობა" კვლავ მოირგებს 23-ნომრიან მაისურას და დღევანდელ ვარსკვლავთა გულგასახეთქად მთელი თავისი დიდებულებით წარდგება მილიონობით ქომაგის წინაშე. რაც შეეხება გუნდს, „სპორტს ილუსტრეიტიდი" „ვაშინგტონ ვიზარდსს" აღებდა ხელს და აცხადებდა, დიადი მაიკლი ამ კლუბის თანამფლობელი და პრეზიდენტია, მომავალ სეზონში კი როგორც პრეზიდენტი საკუთარ თავს გუნდში ჩარიცხავს და ხელფასად ვეტერანთათვის დაწესებულ მილიონს დაინიშნავს, ეს ამბავი 90 პროცენტით გადაწყვეტილიაო.



მაიკლ ჯორდანი

ჭორი თავად ჯორდანმა კვამლივით გაფანტა. „თავდაპირველად მე ვთქვი, რომ 99 პროცენტით წავედი, ახლა კი ვამბობ, რომ 99,9 პროცენტით ვარ წასული და თუ დაბრუნება გადავწყვიტე, თავადვე განვაცხადებ ოფიციალურად ამის შესახებ. ჭორი კი, თითქოს მე დაბრუნებას ვაპირებ, პირველად არ მესმის. მე არ შემიძლია ვაკონტროლო ყველა და ახლა ვაცხადებ, რომ ჯერჯერობით დაბრუნებას არ ვაპირებ"

მისმა აგენტმა დევიდ ფოლკმა ხომ მთლად გადაწურა იმედი: „ვფიქრობ, მაიკლის დაბრუნების შანსი ერთი მეათედი პროცენტითაც არ არსებობს. და თუ მაინც დაბრუნდა, სისულელეა იმის თქმა, რომ მაიკლი ვეტერანის კუთვნილ მინიმუმ ხელფასს, სეზონში ერთ მილიონს აიღებს. ჯორდანი ჯორდანის მინიმუმს აიღებს და ეს ორი და სამი მილიონი როდია. და საერთოდ, საქმე ფულში არაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მაიკლის დაბრუნების შანსი თითქმის ნულის ტოლია".

„სპორტს ილუსტრეიტედს" ამ სენსაციური განცხადების საფუძველი ჰქონდა — ჯორდანმა რომელიღაც დარბაზში ვარჯიში და თამაშით თავის შექცევა დაიწყო. „ეს მართალია, ცოტ-ცოტას ვვარჯიშობ და ბურთსაც ვესვრი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ბოლო ორ წელიწადში ათიოდ კილოგრამი მოვიმატე და ზედმეტ წონას ვერ ვგუობ. აი, სულ ეს არის" — განაცხადა ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელმა და მილიონობით ქომაგთა გულებში ოდნავ მოციმციმე იმედის ნაპერწკალს წყალი გადაასხა.



### მურსიის ტური

# დიდების მოკრძალებული დებიუტი

**7-11 მარტს** ესპანეთში „მურსიის ტური" გაიმართა. პირინეებზე ველომბრბოლთაგან ბევრმა გამოჩენილმა იასპარეზა. ლენს არმსტრონგისა და იან ულრიხისთვის ეს საერთოდ პირველი სასეზონო რბოლა იყო და, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ საკმაოდ მოკრძალებული შედეგები აჩვენეს. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, რადგან თავიანთი ფორმის პიკს ახლა თუ მიაღწიეს, „ტურ დე ფრანსის" დროს დალმასვლა ექნებათ. არადა, „ტურის" 1997 წლის მომგები ულრიხი, ბოლო ორი წლის ჩემპიონი არმსტრონგი და მათ შორის გამარჯვებული მარკო პანტანი, რომლისთვისაც „მურსიის ტური" სეზონის მეორე შეჯიბრი იყო, მთავარ მიზნად სწორედ საფრანგეთში გამარჯვებას ისახავენ და აქედან გამომდინარე, ფორმაში თანდათანობით შევლენ.

დავბრუნდეთ მურსიაში, სადაც პირველი ეტაპი 146,9 კილომეტრი სიგრძისა იყო. სტარტიდან 17 კილომეტრის გავლის შემდეგ პელოტონს მოიერიშეთა დუეტი გამოეყო და ნახევარზე მეტი მანძილი მარტომ გაიარა. ესპანელი მარტინესი და კოლუმბიელი პარა ერთი ხანობა 5 წუთსა და 30 წამსაც იგებდნენ, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლეს და ეტაპის გამარჯვებულიც ჯგუფურ სპრინტში გაირკვა. ავსტრიელმა ვერნერ რიბენბაუერმა არგენტინელ მარტინ გარიდოსა და ამერიკელ ანტონიო კრუზს აჯობა და პრემიალური წამების წყალობით საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა. არმსტრონგი, ულრიხი, პანტანი და შარშანდელი „ჯიროს" ჩემპიონი სტეფანო გარძელი პელოტონში იყვნენ და წამიც არ წაუგიათ. სამაგიეროდ, ცნობილი ესპანელი მთიელი ფერნანდო ესკარტინი ოცდაათიოდე სხვა მრბოლთან ერთად რამდენიმე წუთით ჩამორჩა.

თუმცა ეტაპზე ყველაზე მეტად წინა შაბათს ალმერიას კლასიკური რბოლის მომგები, დანიელი ტაიებ ბრაიკია დაზარალდა. „ლოტოს" 25 წლის წევრი ფინალური სპრინტისას სხვებთან ერთად წაიქცა და მარჯვენა ყვრიმალი გაიტეხა, რის შედეგადაც საავადმყოფოში გადაიყვანეს საოპერაციოდ.

ჩეუტიდან ხიუმილიამდე ქალთა საერთაშორისო დღეს პელოტონმა 162,3 კილომეტრი დაფარა და ისევ ჯგუფური სპრინტით დაასრულა რბოლა. ამჯერად ყველა იტალიელმა ენდრიო ლეონიმ აჯობა, ოღონდ ლიდერის ყვითელი მაისურა რიბენბაუერმა შეინარჩუნა. ლეონიმ სულ მცირედით გაუსწრო ჰოლანდიელ იერონ ბლიილევენსსა და ბელგიელ ბიორნ ლუკმანსს. დღის მთავარი შეტევა იტალიელმა ფაბიო როსიოლიმ განახორციელა, რომელმაც 24-ე კილომეტრზე ბელგიელი სვენ ნიისი აიყოლია და ლიდერობა მხოლოდ ფინიშამდე 17 კილომეტრით ადრე დათმო.



აიტორ გონსალესი

რაც შეეხება ბრაიკიას, მას თავისი 27-ე დაბადების დღე ჰოსპიტალში გაუთენდა და რადგან ტრავმა ძალიან რთული არ იყო, ექიმებმა საჩუქრად გამოწერის ფურცელი უძღვნეს.

პარასკევს ჩიესადან არჩენამდე ყველას მარტინ გარიდომ მიასწრო და პრემიალური წამების ხარჯზე საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა, თუმცა მხოლოდ ერთი დღით. ლტოლვილებმა, წინა დღეების მსგავსად, ვერც ახლა მიაღწიეს წარმატებას. თავიდან ამერიკელმა გვიდო ტრენტიმ და ბელგიელმა ტონი ბრეიკმა სცადეს ბედი, ბოლო კილომეტრზე კი კოლუმბიელი ვიქტორ პენიასა და ესპანელებს, მიკელ სარაბეტიასა და აიტორ გონსალესს, სურდათ პელოტონის მშრალზე დატოვება, მაგრამ ყველას ხელი მოეცარა.

შაბათს მრბოლებს რამდენიმე მთის დაძლევა მოუხდათ, ამიტომაც სპრინტერებმა წინა პლანზე ადგილი მთიელებს დაუთმეს და რბოლაც გაცილებით საინტერესო გამოდგა.

„გამარჯვებას ტურნირის დასაწყისიდანვე ვლამობდით, რათა იგი ძმებ ოჩოაებისთვის მიგვეძღვნა" — განაცხადა ეტაპის მომგებმა „პაკო" კაბელომ (ესპანეთი, კელმე). ძმები მისი თანაგუნდელები იყვნენ და 15 თებერვალს, ვარჯიშისას, მანქანა დაეჯახათ. 26 წლის რიკარდო ოჩოა ადგილზევე გარდაიცვალა, მისი ტყუპისცალი და შარშანდელი „ტურის" მე-13 ეტაპის გამარჯვებული ხავიერი კი დღესაც კომაშია.

„კელმეს" კიდევ ერთი წევრი, ხავიერ პასკუალ ლორენტე და მიკელ სარაბეტია ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე მდებარე მთის მწვერვალზე პირველნი ავიდნენ, მაგრამ დაშვებისას ერთ-ერთ მოსახვევში კარგად ვერ შევიდნენ და მდევრებსაც დაწევის საშუალება მისცეს. დაწინაურებული ჯგუფი ცხრა კაცისგან შედგებოდა, რომელთაგან სამი კელმელი იყო. ბოლოს კაბელომ შეუტია, ლორენტემ და აიტორ გონსალესმა კი დანარჩენებს დევნის ორგანიზებაში ხელი შეუშალეს და თანაგუნდელს 3 წამით მოაგებინეს, თანაც ყვითელი მაისურაც ფრანსისკო კაბელოს ერგო.

თუმცა კაბელომ ლიდერობა და „მურსიის ტური" მეორე დღესვე გადაულოცა აიტორ გონსალესს, რომელმაც 12,9-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა მოიგო. მას გზის გასავლელად 14 წუთი და 57 წამი დასჭირდა. მეორე ადგილზე იტალიელი მარკო ველო გავიდა (+10წმ), მესამეზე — იგორ გონსალეს დე გალდეანო (+21). არმსტრონგმა 28 წამი წააგო, ულრიხმა კი 1 წუთი და 20 წამი. პანტანი კი ინდივიდუალური რბოლის სტარტზე საერთოდ არ გამოცხადდა.

**გაგი გურული**

| საბოლოო ჩათვლა |
| --- |
| 1. აიტორ გონსალესი (ესპანეთი) 15სთ, 52წთ, 40წმ |
| 2. ხავიერ პასკუალ ლორენტე (ესპანეთი) +25წმ |
| 3. მიკელ სარაბეტია (ესპანეთი) +36წმ |
| 4. გაბრიელე კოლომბო (იტალია) +41წმ |
| 5. ფრანსისკო კაბელო (ესპანეთი) +46წმ |

# სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**შვეიცარია. A ჯგუფი. გადადებული მატჩები**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 025 | ბაზელი-ლოზანა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**შვეიცარია. თასის 1/8 ფინალი**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 035 | ივერდონი-ციურიხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**უეფას თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 509 | პსვ-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 23.45 | 510 | რაიო ვალეკანო-ალავესი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 24.05 | 511 | ლივერპული-პორტუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 00.30 | 512 | სელტა-ბარსელონა | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**ლიბერტადორესის თასი**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 518 | ოლმედო (ეკვადორი)-სან კაეტანო (ბრაზილია) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 05.40 | 519 | უნივერსიტარიო (პერუ)-ხუნიორი (კოლუმბია) | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 601 | პსვ | -2,0 | კაიზერსლაუტერნი | -1,45 |
| 23.45 | 602 | რაიო ვალეკანო | -6,0 | ალავესი | -1,05 |
| 24.05 | 603 | ლივერპული | -1,15 | პორტუ | -3,1 |
| 00.30 | 604 | სელტა | -3,5 | ბარსელონა | -1,15 |

**I ტაიმი/ძირითადი დრო**

15 მარტი

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 709 | პსვ-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 12,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,5 | 16,0 | 10,0 | [illegible] |
| 23.45 | 710 | რაიო ვალეკანო-ალავესი | 2,6 | 12,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 7,5 | 15,0 | 10,0 | 6,0 |
| 24.05 | 711 | ლივერპული-პორტუ | 1,8 | 13,0 | 25,0 | 3,0 | 5,6 | 11,0 | 18,0 | 11,0 | 10,0 |
| 00.30 | 712 | სელტა-ბარსელონა | 4,0 | 10,0 | 15,0 | 5,3 | 5,0 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 3,6 |

**კალათბურთი**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 818 | დეტროიტი-ლეიკერსი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 04.30 | 819 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 820 | მილუოკი-სიეტლი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 821 | დალასი-მინესოტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 822 | ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 06.00 | 823 | ფინიქსი-ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 825 | პლანია-ეფესი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 21.00 | 826 | ულქერი-ლიეტუვოს რიტასი | 1,15 | 12,0 | 2,5 |
| 21.00 | 827 | ირაკლისი-პო ორტეზი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 828 | სპლიტი-ცსკა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 829 | კრკა-ოსტენდე | 1,25 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 830 | ვილერბანი-პანათინაიკოსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 | 831 | სკავოლინი-ბაიერი | 1,25 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 832 | ალბა-სიენა | 1,45 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 833 | პარტიზანი-მაკაბი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**ჰოკეი**

15 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 917 | ბოსტონი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 919 | ვაშინგტონი-კაროლინა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 920 | ტამპა ბეი-ტორონტო | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 921 | დეტროიტი-კალგარი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 05.30 | 922 | ჩიკაგო-ნეშვილი | 1,85 | 4,0 | 2,4 |

**ხუთშაბათს, 15 მარტს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული
ლატარია

CROCO

BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება. !

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ფული ყველას უნდა



მარატ საფინს ზურგი აწუხებს

**მასტერსის სერია**
**ინდიან უელსი (აშშ)**
**ჰარდი. საპრიზო 5 მილიონი $**

**ქალები**

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — სილვია ფარინა (იტალია) 6:0, 6:4; კიმ კლაისტერსი (14, ბელგია) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:2, 6:2.**

მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს ინდიან უელსში კენჭისყრამ სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა: 20 წლის შვეიცარიელის ყველა მთავარი კონკურენტი — ლინდსი დევენპორტი, სერენა და ვინუს უილიამსები ბადის მეორე ნახევარში მოხვდნენ, მას კი ისეთი მეტოქეები ერგო, სადილად რომ არ ეყოფა.

შედეგად მარტინამ თითოეულ მატჩში ერთი სეტი მაინც მშრალზე მოიგო და მეოთხედფინალშიც იტალიელ სილვია ფარინას სულ რაღაც 43 წუთი დაახარჯა. საოცარია, მაგრამ ჰინგისმა საკუთარ თავს გაკრიტიკების საბაბი მაინც მისცა: „ყოველთვის შეიძლება, ცოტა უკეთ გაისარჯო. მაგალითად, მეორე სეტის პირველი გეიმი ავილოთ, მოწოდება რომ დავკარგე, ყურადღება ოდნავ გამეფანტა, თუმცა გონს, საბედნიეროდ, დროზე მოვეგე“.

შვეიცარიელს, წესით არც ნახევარფინალში უნდა გაუჭირდეს დიდად — მისი მომდევნო მეტოქე 17 წლის ბელგიელი კიმ კლაისტერსი იქნება, რომელიც ჰინგისს აქამდე სამჯერვე დაუმარცხებია: „კიმი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ ჯერჯერობით გამოცდილება არ ჰყოფნის. ისე, ის სწრაფად სწავლობს ყველაფერს და გამიკვირდება, უახლეს მომავალში საუკეთესოთა ათეულში რომ არ დამკვიდრდეს“.

თავის მხრივ კლაისტერსმა მეოთხედფინალში ტურნირის აღმოჩენა, რუსი ელენა ბოვინა დაამარცხა. ორი წლის წინ თბილისის ღია პირველობის პირველივე წრეში დამარცხებული ბოვინა სიმაღლეში 191 სანტიმეტრია და ამ მაჩვენებლით WTA ტურზე პირველი გახლავთ, თუმცა შესანიშნავ მონაცემებს ჯერჯერობით ხეირიანად ვერ იყენებს — მეოთხედფინალში მან თითქმის ყველა საკუთარი მოწოდება დათმო.

18 წლის რუსმა მოგვიანებით სახელოვანი თანამემამულის, ანა კურნიკოვას სალანძღავადაც გამონახა დრო: „სხვა რუსი გოგონები ერთმანეთთან ვმეგობრობთ, ეგ კი ისე იქცევა, თითქოს ვერც გვამჩნევდეს. რა გასაკვირია, თუ დიდად არავის ეპიტნავება. რა კარგი იქნებოდა, მისთვის პირველი ტიტულის მოპოვება დამესწრო“!

**ვაჟები**

ორი კვირის წინ დუბაის ღია პირველობის ნახევარფინალში ტომას იოჰანსონთან შეხვედრაში მარატ საფინმა ზურგის ერთ-ერთი კუნთი დაიზიანა. მაშინ უმიზეზოდ განერვიულებულმა შვედმა ტრავმირებული რუსის დამარცხება ვერ მოახერხა.

ინდიან უელსში იოჰანსონს შეცდომის გამოსწორების კიდევ ერთი შანსი მიეცა და ამჯერად ეს შესაძლებლობა მას ხელიდან აღარ გაუშვია. ზურგმტკივანი საფინი ყოველმხრივ ერიდებოდა ტრავმის გაუარესებას, შიშით ისე ფაქიზად აწოდებდა, 160 კმ/სთ სიჩქარისთვის ერთხელაც არ გადაუცილებია და, ბუნებრივია, გასამწარებლად იოლი სამიზნეც გახლდათ.

რუსმა მაინც იბრძოლა, საკუთარ თავზე და გვერდითა მსაჯებზე გაფიცხებულმა ჩოგანიც დიდი გახელებით უხათქუნა კორტს და ღირსეულად, 5:7, 5:7 წააგო. „რატომ ვითამაშე, თუ ამისთვის ბოლომდე მზად არ ვიყავი? აბა, რა გითხრათ, ცდა ღირდა. ბოლოს და ბოლოს 0:6, 0:6 ხომ არ დავმარცხებულვარ“ — განაცხადა რუსმა, თუმცა ძალლის თავი სულ სხვაგანაა დამარხული. სეზონის ბოლოს ATP გვარიან პრემიებს ურიგებს იმ ჩოგბურთელებს, რომლებმაც მასტერსის სერიის ცხრავე ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და საფინიც, ეტყობა, იმ მწვანეებს წინასწარ უმიზნებს.

„კატასტროფა არ მომხდარა, სამაგიეროდ, ახლა მეტი დრო მექნება კი ბისკეინის მასტერსის ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად. საქმე ის არის, რომ ზურგი ძალიან აღარ მაწუხებს, უფრო მეტად მეშინია, კუნთი არ გავიწყვიტო და სამი თვე დასვენება არ მომიხდეს“ — დაუმატა რუსმა.

მატჩს საფინის ახალი მწვრთნელი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მატს ვილანდერიც ესწრებოდა და გარემოებათა გათვალისწინებით თავისი შეგირდის თამაშით უკმაყოფილო არ დარჩენილა. პრესკონფერენციაზე რუსმა ჟურნალისტებს ვილანდერთან თანამშრომლობის დაწყების ნამდვილი ისტორია უამბო: „იმედია, მათსი არ გამინაწყენდება. დეკემბერში მის ერთ მეგობარს შევხვდი ავსტრიაში, რომელმაც მითხრა, მათსი დაინტერესებულია, შენ მწვრთნელად გახდომაშიო. ჯერ ამას ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ მეორე დღეს ვიფიქრე, ისე ურიგო აზრი არ არის-მეთქი. თანაც საშა ვოლკოვმა (საფინის ყოფილი მწვრთნელი და მეგობარი) მითხრა, სულელი ხომ არ ხარ, ეგ შანსი რაც არ უნდა დაჯდეს, აუცილებლად გამოიყენე, ვილანდერისთანა ვინმეს ვერსად იპოვიო. ახლა ვცდილობ, არაფერი ვაწყენინო, ყველაფრის ფულს თავად ვიხდი“.

საფინის მთავარმა კონკურენტმა მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლაში, ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა შესანიშნავი სტარტი აიღო. „გუგამ“ მასპინძელ სესილ მემიტს 6:3, 6:2 გადაუარა და გამარჯვებათა სერია 13 მატჩამდე გაზარდა.

„საერთოდ, სეზონს ცუდად ვიწყებ, საშობაო არდადეგებისა და წვეულებების შემდეგ ფორმაში ჩადგომა აპრილამდე მიჭირს. ასე რომ, ძალიან მიხარია, რომ წლეულს ყველაფერი თავიდანვე აეწყო — აღნიშნა გუგამ და ტურნირის ორგანიზატორებს უსაყვედურა, ჩემი შეხვედრა დილის 10 საათზე რად დანიშნეთო — ეტყობა, ასე შარშანდელი დამსახურებისთვის დამასაჩუქრეს, ტრიბუნებზე სულ 12 კაცი იჯდა. ალბათ, კიდევ 5 წელი უნდა ვიყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნორმალურ დროზე, შუადღისას, რომ მათამაშონ აშშ-ში“.

პირველ წრეში ერთბაშად ორმა ახალგაზრდა ამერიკელმაც გამოიჩინა თავი. 19 წლის მარდი ფიშმა, რომელმაც გასულ კვირაში ტომას ენკვისტი დაამარცხა, ამჯერად მარკ „სკად“ ფილიპუსისი იმსხვერპლა 6:4, 6:7 (2:7), 6:4. მისივე თანატოლმა ტეილორ დენტმა კი სამხრეთაფრიკელ უეინ ფერერას გადაუარა 6:3, 6:0.

**პირველი წრე: ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — მაგნუს ნორმანი (6, შვედეთი) 4:6, 6:4, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:2, 5:7, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:4, 7:5; ტომას ენკვისტი (9, შვედეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:0), 2:6, 6:4; ტიმ ჰენმანი (10, ინგლისი) — რაინერ შუტლერი 6:2, 5:7, 7:6 (7:4); პატრიკ რაფტერი (11, ავსტრალია) — გრეგ რუზედსკი (ავსტრალია) 6:3, 6:2; იან-მაიკლ გემბილი (აშშ) — დომინიკ ჰრბატი (14, სლოვაკეთი) 6:4, 6:3; სებასტიან გროსჟანი (16, საფრანგეთი) — ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:0, 6:2; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:0, 6:2.**

**ავთანდილ სვანიძე**



გუსტავო კუერტენს ადრე ადგომა არ უყვარს

## ტაი-ბრეიკი

# შტეფი გააბრიყვეს



შტეფი გრაფი მაფიოზებმა გააცურეს

**ლეგენდარულ** შტეფი გრაფს ბირჟაზე თამაში მეტად ძვირად დაუჯდა: გერმანელმა ჩოგბურთელმა სამ თვეში 600 ათას დოლარზე მეტი დაკარგა. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, რომ შტეფი გააცურეს — უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი თაღლით მაფიოზთა მსხვერპლი გახდა.

გასულ უქმეებზე აშშ-ის ფედერალურმა აგენტებმა ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსიში 17 ადამიანი დააპატიმრეს, რომელთაც ფასიანი ქაღალდებით თაღლითობაში ედებათ ბრალი და გამბინოს მაფიოზური ოჯახის წევრები არიან. სამი წლის მანძილზე მათ ამერიკასა და სხვა ქვეყნებში მოტყუებული კლიენტებისგან 50 მილიონ დოლარზე მეტი მიითვისეს, თანაც ისეთი ხალხიც გააბრიყვეს, რომელთაც ბიზნესისა და ფინანსური სამყაროს შესახებ გრაფზე გაცილებით მეტი იცოდნენ.

შტეფის თავი იმითაც შეუძლია დაიწყნაროს, რომ მის გარდა განგსტერთა მახეში ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი ბრაიან კოქსიც გაება.

# ზეიმი უზეიმოდ

**რამდენიმე** დღის წინ კაცთა ATP და ქალთა WTA ტურებმა თავიანთი ყოველწლიური ჯილდოები ჩამოარიგა, თუმცა შესაფერისი ატმოსფერო არც ერთგან სუფევდა და არც მეორეგან.

ATP-ს, რომელიც ადრე მონტე-კარლოში დიდ საზეიმო ცერემონიალს აწყობდა-ხოლმე, ამჟამად ფინანსურად არ უღხინს, ამიტომ ფონს გასვლა ყოველგვარი ხმაურისა და დითირამბების გარეშე გადაწყვიტა. უბრალოდ, მათ გამარჯვებულები დაასახელეს და ლამის ჯილდოების გადაცემაც კი დაენანათ.

„წლის საუკეთესო ჩოგბურთელი“ კლასიფიკაციაში პირველობის ძალით ავტომატურად ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი გახდა. „გასული სეზონი ჩემთვის დაუჯერებელი გამოდგა. კარიერაში პირველი დარბაზის ტურნირის, თანაც ეგრევე მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ლისაბონში და მსოფლიოს პირველი ჩოგნობა ოცნებების ასრულებას ჰგავდა“ — განაცხადა „გუგამ“, რომელმაც საფრანგეთის ღია პირველობაზეც იმარჯვა.

21 წლის რუს მარატ საფინს ერთბაშად სამი ჯილდო ერგო. კოლეგებმა ის „ყველაზე გაუმჭობესებულ ჩოგბურთელად“ აირჩიეს, ქომაგებმა — „ახალი თაობის საუკეთესო მოთამაშედ“, ჟურნალისტებმა კი „პრესკონფერენციების ვარსკვლავად“. „ჩემთვის ნებისმიერი ჯილდოს მიღება დიდი პატივია, ერთბაშად სამზე რომ არაფერი ვთქვა“ — ასეთი იყო რუსის კომენტარი.

„წლის საუკეთესო ახალბედას“ კატეგორიაში ახალგაზრდა ბელგიელმა კრისტოფ რომიუმ თავის ერთი წლით უფროს ძმას — ოლივიეს აჯობა. „ელიტაში დაბრუნებულის“ ჯილდო კარიერაში მეორედ (რაც ადრე არავის მოუხერხებია) როლან გაროსის ორგზის ჩემპიონ სერხი ბრუგერას ერგო. ესპანელი შარშან კლასიფიკაციაში 371-დან 84-ე ადგილზე აღზევდა. მესამედ დაჯილდოვდა „ჯენტლმენური საქციელისთვის“ ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი.

WTA ტური, კაცებისგან განსხვავებით, გვარიანად დაიხარჯა. პრობლემა ის გახლდათ, რომ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მოწყობილ საზეიმო ცერემონიალზე ინდიან უელსში საუკეთესოთა ათეულის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა — სერენა უილიამსმა ინება მისვლა. სერენამ უფროსი დის ვინუს უილიამსისთვის განკუთვნილი „წლის საუკეთესო ჩოგბურთელის“ ჯილდო ამ უკანასკნელის ნაცვლად აიღო, ხელს „წლის საუკეთესო წყვილისაც“ გააყოლა და დის ნაცვლად ბოდიშიც მოიხადა, ხვალ დილით მატჩი აქვს გასამართი და არ ეცალაო.

სამაგიეროდ, სიხარულისგან ბრწყინავდნენ მსგავს პატივს უჩვევი სხვა ახალგაზრდა ვარსკვლავები — 19 წლის რუს ელენა დემენტიევას წლის „ყველაზე გაუმჯობესებული ჩოგბურთელის“ ჯილდო ერგო, ბელგიელმა კიმ კლაისტერსმა კი „ჯენტლმენური საქციელის“ (თუ ასეთი რამ ქალებზე შეიძლება ითქვას) კატეგორიაში იმარჯვა.

„იმ წვეულებაზე წასვლას, მერჩივნა, შინ დავრჩენილიყავი და მეორე დღეს თამაში არ წამეგო“ — ასე ახსნა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა ცერემონიაზე არყოფნა, სადაც მას ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაწესებული პრიზი უნდა მიეღო. თუმცა, როგორც ამბობენ, შვეიცარიელს ის ეწყინა, წლის საუკეთესო მოთამაშედ მის ნაცვლად ვინუს უილიამსი რომ დაასახელეს. ყოველ შემთხვევაში, მეორე დღეს დანიშნულ მატჩს მარტინასთვის ქალაქგარეთ სეირნობასა და მახლობელ მთებში ძრომიალში ხელი არ შეუშლია.

ლინდსი დევენპორტმა თავი უფრო ხეირიანად და პირდაპირ იმართლა: „ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ წლეულს არც ერთი ჯილდო არ მერგებოდა და მეც დამეზარა იქ წასვლა. აბა, ისე რაღა აზრი ჰქონდა?“

# ზოგჯერ ჯობს ლექო

**როლან გაროსის** ყოფილი ჩემპიონი კარლოს მოია სარეკლამო აგენტად ნამდვილად არ გამოდგება. 24 წლის მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამჟამად ძველებურად ველარ თამაშობს, მაგრამ მშობლიურ ესპანეთში მის პოპულარობას ამით არაფერი აკლდება. რამდენიმე თვის წინ იქ მაღაზიებში ჩოგბურთელის სახელობის ოდეკოლონიც კი გამოჩნდა, რომელზეც თურმე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა.

როდესაც მოიას ოდეკოლონის სუნის აღწერა სთხოვეს, მაინცდამაინც სახარბიელო სურათი არ დაუხატავს: „სუნი დაახლოებით ისეთია, როგორც მე მიდის ხუთი საათის თამაშის შემდეგ, როდესაც ერთი კვირაა, არ დამიბანია“.

**ავთანდილ სვანიძე**

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

# საქართველო - ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 15 საათი

# ბორჯღალოსნები თბილისში გადმოსახლდნენ და გამრავლდნენ

**შაბათს** საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი ელის ესპანელებთან. როგორც უკვე გაუწყეთ, ჩვენი ნაკრები გუშინწინ დილით ტაბახმელაში გაფართოებული შემადგენლობით შეიკრიბა და ფრანგი მწვრთნელის, კლოდ სორელის მეთვალყურეობით ოქროყანის სტადიონზე ვარჯიშობს. გუშინ ქართველი მორაგბეები თბილისში გადმოსახლდნენ და სასტუმრო „ხედში“ დაბინავდნენ. სორელის განკარგულებაში ამჟამად ოცდაოთხი მორაგბეა. მათგან მწვრთნელი იმ ოცდაორ მოთამაშეს შეარჩევს, რომლებიც შაბათს, ესპანელებს დაუპირისპირდებიან.

ადრე ნახსენებ შემადგენლობაში მცირედი ცვლილებაა. „ბორჯღალოსანთა“ საუკეთესო მელელოვე არჩილ ქავთარაშვილი, იგივე „ტელმან-სტეჩკინა“ ნაკრების კანდიდატად მოიხსენიებოდა, მაგრამ სორელმა ამჯერად მისი მოწვევისგან თავი შეიკავა. ქავთარაშვილის შემცვლელად კი „ლოკომოტივის“ გარემარბი გიორგი ბუგიანიშვილი შეიგულა. ესპანელებთან სათამაშოდ ემზადებიან ტრავმამოშუშებული მორკინალი გოდერძი შველიძე და უკანახაზელი ნონო ანდღულაძე. საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

***ფორვარდები:*** *გოდერძი შველიძე, მევლუდ მთიულიშვილი, ლევან ცაბაძე, აქვსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, გია ლაბაძე, ილია ზედგინიძე, ბესიკ უდესიანი, ზურაბ მჭედლიშვილი.*

***ბეკები:*** *ირაკლი აბუსერიძე, შოთა მოდებაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ვასილ აბაშიძე, გიორგი ბუგიანიშვილი, ნონო ანდღულაძე, კახა ალანია, ვასილ კაცაძე, ბესიკ ხამაშურიძე, გუჯა იოვაძე, თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი.*

რაც შეეხება ჩვენს სტუმრებს, ესპანელები შვეიცარიული ავიაკომპანიის „სვინ ეარის“ კუთვნილი თვითმფრინავით გამთენიისას ეწვეოდნენ თბილისს და მატჩის შემდეგ, შაბათსვე, უკანვე გაჰყვებიან. ესპანელთა დელეგაცია სასტუმრო „შერატონში“ დაბინავდება. მწვრთნელმა პაბლო ტომას გარსიამ ქართველთა წინააღმდეგ სათამაშოდ ამ ოცდაორ მორაგბეს უხმო:

***ფორვარდები:*** *ხოსე იგნასიო საპატერო, ხავიერ სალასარი, ფერნანდო დელაკალე, ხოსე მარია ბიორკესი, ხონადაბ დიესი, ხოსე მიგელ ვიიაუ, მიგელ აბრილი, ანტონიო ლეონი, ალფონსო მატა, ოსკარ ასტარილოა, კარლოს სოუტო, მარკო კრისტენსენი.*

***ბეკები:*** *ხაიმე ალონსო-ლაერასი, ხორხე ტორეს მოროტე, ალფონს მარტინესი, ანდრეი კოვალენკო, ალვარ ენსიზიო, ფერნანდო დიასი, დანიელ მორალეხა, მარკ ვენტურა, მიგელ ანხელ ფრეჩია, ფერან ველასკო.*

ესპანელთა გუნდში მხოლოდ ორი მორაგბეა ლეგიონერი, მორკინალი მარკო კრისტენსენი და უკანახაზელი ფერნანდო დიასი ფრანგული კლუბის „ლისეოს“ ღირსებას იცავენ. პირინეელთა მთავარი დამრტყმელი ძალა გაესპანელებული უკრაინელი ანდრეი კოვალენკოა. ესპანელთა მიერ მოპოვებული ქულათა ლომის წილი სწორედ მასზე მოდის. როგორც წესი, ყველა გარდასახვას და საჯარიმო დარტყმას კოვალენკო ასრულებს და ამასთან არეკნებიც ემარჯვება. ქართველებს კოვალენკოს წინააღმდეგ განსაკუთრებული ყურადღებით მართებთ თამაში.

**ბაჩო სვანიძე**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

13 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ფილადელფია 5:2 სენტ ლუისი | დეტროიტი 2:2 ვანკუვერი | ჩიკაგო 0:3 დალასი |
| ვაშინგტონი 0:2 ანაჰაიმი | ტამპა 4:5 ედმონტონი (დ.დ.) | კოლორადო 3:6 ნიუ ჯერსი |

## კვირის მოთამაშე

### ტომი სალო (ედმონტონი)



წინა უქმეებზე ედმონტონმა თავისი თაყვანისმცემლებიც კი გააოცა. ზედიზედ მოპოვებული ორი მოგების ხარჯზე „მენავთობეებმა“ გამარჯვებათა სერია 8 მატჩამდე გაზარდეს, რაც 80-იანი წლების შემდეგ ვერ მოეხერხებინათ. ოღონდ მაშინდელი, უეინ გრეცკისა და მარკ მესიეს ედმონტონი ხომ სულ სხვა, დიდებული კლუბი გახლდათ და მისი მძლავრი შეტევის შეჩერება შეუძლებელი იყო. დღეს გუნდს არ ულხინს და ეს შედეგიც დაცვისა და მეკარე ტომი სალოს საუცხოო თამაშის წყალობით აჩვენა, თუმცა ეს ედმონტონელთა მიღწევას სულაც არ აუფასურებს. შვედი გოლკიპერი ბოლო ხანს მართლაც რომ შეუდარებელია, წინა კვირაში კი საკუთარ თავსაც აჯობა. მან ზედიზედ ორჯერ ტორონტოსა და ბუფალოსთან, შათაუტი მიითვალა და კაროლინასთანაც მანამდე არ გაუშვა გოლი, სანამ კლუბის ახალი რეკორდი არ დაამყარა — მშრალი სერია 192 წუთსა და 53 წამამდე გაგრძელდა. საერთო ჯამში კი სალომ ბოლო 8 მატჩში მხოლოდ 9 (!) შაიბა გაუშვა და 195 მოიგერია. რაც მთავარია, შვედი მეკარე გუნდს ყველაზე საჭირო მომენტში დაეხმარა და პლეი ოფში მოხვედრის პრობლემა, ფაქტობრივად, გადაუჭრა.

**კვირის საუკეთესო ექვსეული:**

*ტომი სალო (ედმონტონი, 4); ერიკ ბრიუერი (ედმონტონი, 1) — სილვენ კოტე (ვაშინგტონი, 1); იარომირ იაგრი (პიტსბურგი, 4) — ადამ ოუთსი (ვაშინგტონი, 2) — კეიტ პრიმო (ფილადელფია, 2)*

მთის თხილამურობა

# სუხიას ხსოვნის

კომპანია „ჯეოსელმა“ და კავშირმა „სუხია“ გუდაურში სამთო თხილამურობის ტურნირი, „სუხია 2001“ მოაწყვეს. ტრადიციული შეჯიბრება წლეულს მეცხრედ გაიმართა და ტრაგიკულად დაღუპული სამთო მოთხილამურის, სულხან სულხანიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

უამინდობამ მონაწილენი და მაყურებლები ვერ შეაშინა. ტურნირის სტარტზე 109 ვაჟი და 19 გოგონა გამოვიდა.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მესტიელმა მალხაზ უდესიანმა. „სუხიას თასთან“ ერთად იგი ათასი ლარით, „ჯეოსელში“ ჩართული მობილური ტელეფონით და გუდაურის საბაგირო გზების ერთწლიანი აბონემენტით დაჯილდოვდა. მეორე ადგილზე გავიდა ბაკურიანელი დათო ნასყიდაშვილი, მესამეზე — თბილისელი კოტე ქადაგიძე.

გოგონებში გაიმარჯვა თბილისელმა ნინო კუპრაძემ, მეორე იყო ბაკურიანელი სოფო პეტროსიანი, მესამე — თბილისელი ნინო ბრეგვაძე.

ტურნირის გენერალური სპონსორი იყო კომპანია „ჯეოსელი“. სპონსორები: საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია, საქართველოს მაკროსაფინანსო ბანკი ემ-ბი-ჯი, სააქციო საზოგადოება „ყაზბეგი“, სააქციო საზოგადოება „გერგეთი“, „მაკდონალდსი“.



ვაჟთა დაჯილდოება



მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მესამე ეტაპი (პორტუგალია)

# რალისტებს მზე მოენატრათ



ტომი მაკინენმა და რისტო მანისენმიაკიმ წლეულს მეორედ გაიმარჯვეს

**წლევანდელი** ჩემპიონატის მესამე ეტაპსაც უამინდობა დაემთხვა. ორასამდე მონაწილეს უმძიმეს პირობებში მოუწია პორტუგალიის უგზოობის დაძლევამ. თავსხმამ ძალიან გაართულა საქმე — სტარტზე გასული 94 ეკიპაჟიდან ფინიშამდე მხოლოდ 26 მივიდა.

პორტუგალიის 35-ე რალის 1794-კილომეტრიანი დისტანციიდან 390 ჩქაროსნულ მონაკვეთებზე მოდის. თავიდანვე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, ტომი მაკინენის „მიცუბიში“ დაწინაურდა. მართალია, ბოლოსწინა, 21-ე მონაკვეთის უფრო სწრაფად გავლის შემდეგ ფინელს ლიდერობა კარლოს საინსმა ჩამოართვა, მაგრამ დროებით. დასკვნით უბანზე კვლავ მაკინენმა იყოჩაღა და ესპანელს საბოლოოდ ნახევარი წამით აჯობა. წლეულს პირველად მიაღწია ფინიშამდე მსოფლიოს ჩემპიონ მარკუს გრონჰოლმის „პეჟომ“. მის გარდა პირველი ქულები მოიპოვეს პორტუგალიის შარშანდელი რალის მოგებებმა რიჩარდ ბარნსმა და შოტლანდიელმა დებიუტანტმა ალისტერ მაკრეიმ. საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი ორ ეტაპზე გამარჯვებულმა მაკინენ — რისტო მანისენმიაკის ეკიპაჟმა იგდო ხელთ.

მორიგი, მეოთხე რაუნდი მარტის ბოლოს ესპანეთში, კატალონიის გზებზე გაიმართება.

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1. ტომი მაკინენი (ფინეთი, „მიცუბიში“) | 3:46.42,1 სთ | 10 ქულა |
| 2. კარლოს საინსი (ესპანეთი, „ფორდი“) | ჩამორჩა 00,6 | 6 |
| 3. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „პეჟო“) | 2.55,6 | 4 |
| 4. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, „სუბარუ“) | 3.24,3 | 3 |
| 5. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, „ფორდი“) | 10.06,8 | 2 |
| 6. ალისტერ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, „ჰიუნდაი“) | 12.00,4 | 1 |

**საერთო ჩათვლა**

1. მაკინენი (მიცუბიში)20 ქულა; 2. საინსი (ფორდი) — 16; 3. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) — 10; 4. დელაკური (ფორდი) — 8; 5. ტომას რადსტრიომი (შვედეთი, მიცუბიში) — 6; 6. ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, პეჟო) — 5; 7. გრონჰოლმი (პეჟო) — 4; 8-9. ბარნსი (სუბარუ) და არმინ შვარცი (გერმანია, შკოდა) — 3-3; 10. ალისტერ მაკრეი (ჰიუნდაი) — 1.

# სეზონი კარტმაც გახსნა

CART

**გარეგნული** მსგავსების მიუხედავად, ფორმულა I-ის და „კარტის“ ბოლიდები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. უმთავრესი სხვაობა ძრავშია — ამერიკული უფრო კომპაქტური, მარტივი და იაფია, თუმცა იმავდროულად თითქმის ასი ცხენის ძალით მძლავრიც ტურბოკომპრესორის ხარჯზე. მანქანა ოდნავ დიდი და მძიმე კია, მაგრამ ფორმულისაზე უფრო სწრაფია. განსხვავებაა წესებშიც — ოკეანის გაღმა სტარტს დაძრული მანქანებით იღებენ, წვიმაში საერთოდ არ ასპარეზობენ, გამარჯვება ორჯერ მეტად, ოცი ქულით ფასდება და ჩათვლასაც ორჯერ მეტი, თორმეტი ადგილი იძლევა.

„კარტის“ წლევანდელ კალენდარში 21 ეტაპია. სეზონი მექსიკის ქალაქ მონტერეის ტრასაზე რბოლით გაიხსნა. „მექსიკის დიდი პრიზი“ ოცი წლის შემდეგ დაუბრუნდა ამერიკულ ფორმულას. 3,5 კმ სიგრძის წრე მძლოლებს 80-ჯერ უნდა შემოევლოთ, რაც 280 კილომეტრს შეადგენს.

რბოლა 28 პილოტმა დაიწყო. წინ კვალიფიკაციის მომგებ კენი ბრაკის „რეიჰალი“ მიდიოდა. შვედი ქარავანს კარგა ხანს ედგა სათავეში, მაგრამ ფინიშამდე ასიოდე კილომეტრით ადრე პრობლემები შეექმნა და ლიდერობა „ნიუმენ-ჰაასის“ გუნდის დებიუტანტმა კრისტიანო და მატამ იგდო ხელთ. ბრაზილიელმა საწვავის ჩამატების გამო დროებით დათმო პოზიცია, მაგრამ მალევე დაიბრუნა და ფინიშთან ორი წამით მიასწრო შარშანდელ ჩემპიონს, თანამემამულე ჟილ დე ფერანს. მესამე ადგილზე კანადელი პოლ ტრეისი გავიდა, ბრაკი მეხუთე იყო.

მექსიკელმა ადრიან ფერნანდესმა, რომელიც სამშობლოში ისეთივე პოპულარულია, როგორც ვთქვათ, აშშ-ში მეგოლფე ტაიგერ ვუდსი, თავისი გულშემატკივრების წინაშე თავი ვერაფრით გამოიჩინა და ვადამდე ხუთი წრით ადრე რბოლას გამოეთიშა. მის გარდა კიდევ ცხრამ ვერ დაასრულა შეჯიბრება.

მეორე ეტაპი 8 აპრილს ლონგ-ბიჩში (აშშ) შედგება.

**გია ახალაძე**


## ავტომოყვარულთა საყურადღებოდ!

შაბათს, 17 მარტს რიყის მოედანზე ჩატარდება ავტომოყვარულთა შეჯიბრება „ჩქაროსნულ მანევრირებაში“. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ავტომოყვარულს. შეჯიბრების ორგანიზატორია საქართველოს საავტომობილო ფედერაცია. გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები და ფასიანი საჩუქრები.

მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს რიყის მოედანზე 10 საათიდან.
საკონტაქტო ტელეფონები: 536 536, 305 503.



REUTERS ბერლინიდან

# დააფუძნეს

22 მაისს მონაკოში დიდი დაჯილდოება გაიმართება. გამარჯვებულებს იმ ნომინაციების მიხედვით შეარჩევენ, რომლებიც მსოფლიო სპორტის აკადემიის დამფუძნებელმა წევრებმა ჯგუფური ფოტოს გადაღების წინ გამოაცხადეს. ეს ამბავი კი ბერლინში, ამ დღეებში მოხდა. ფოტოზე წინა რიგში დგანან: მორნე დიუპლესი (სამხრეთაფრიკელი მორაგბე), დონ ფრეზერი (ავსტრალიელი მოცურავე), მარკ სპიცი (ამერიკელი მოცურავე), ნადია კომანეჩი (რუმინელი ტანმოვარჯიშე) და ბორის ბეკერი (გერმანელი ჩოგბურთელი). ზედა რიგი: ყაფილ დევი (პაკისტანელი მოკრიკეტე), ედვინ მოზესი (ამერიკელი მძლეოსანი), უგო პორტა (არგენტინელი მორაგბე) და მიგელ ინდურაინი (ესპანელი ველომრბოლი).



REUTERS კუალა-ლუმპურიდან

# ამბავი

NBA-ში თამაში იყო ასეთი: „ტორონტო" — „მილუოკი" 97:101. ამ თამაშის დროს მილუოკელმა დერვინ ჰემმა წონასწორობა დაკარგა და ვიღაც გულშემატკივრის კალთაში აღმოჩნდა. აი, ასე!


REUTERS ტორონტოდან

# ვერ დავთმობ მე ჩემს...

ეს შენობა, კუალა ლუმპურის „პეტრონას ტაუერსი", დიდად ცნობილი რამ გახლავთ. ამ ქალაქში სამახსოვრო ფოტოს ყველა მის ფონზე იღებს. ასევე მოიქცნენ ფორმულა 1-ის პილოტები, ფინელი კიმი რაიკონენი და გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი, ოღონდ მათ ძრავებისა და ჭანჭიკების სამყარო წუთითაც ვერ დათმეს და კარტინგის მანქანაში გამოცხადდნენ ფოტოგრაფის წინაშე.

2001 წლის პირველ ეტაპზე, ავსტრალიაში, გერმანელმა მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო ფინელმა მეექვსე. ახლა მალაიზიაში ვნახოთ.

# სტამბოლის ბრძოლა



REUTERS სტამბოლიდან

სტამბოლს 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ნამდვილად რომ სურს, ამ ორი ფოტოდან საუკეთესოდ ჩანს: ერთზე ავტობუსის ჩვეულებრივი გაჩერებაა ასახული. ავტობუსს ორი ხანდაზმული მოქალაქე ელის. ასაკიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მათ ცხოვრებაში ყველაფერი უნახავთ, ოლიმპიადის გარდა. მოქალაქეთა ზურგს უკან სარეკლამო პლაკატია, რომელზეც წერია: „სტამბოლს სწამს, რომ გაიმარჯვებს".

მეორე ფოტო კი უფრო მრავლისმეტყველია. სტადიონს, რომლის ტრიბუნაზე სკამებს ეს დაღლილი ძიაკაცი ამაგრებს, სტამბოლის გარეუბანში 80 ათასი მაყურებლისთვის აგებენ. ამბობენ, უძველეს და ულამაზეს ქალაქს ეს ნაგებობა თავის წილ დიდ ხიბლს დაამატებსო. თანაც, 21 მარტს, აქაურობას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისია უნდა ეწვიოს და შთაბეჭდილების მოხდენა აუცილებელია.

სტამბოლის კონკურენტები არიან: პეკინი, ოსაკა, ტორონტო და პარიზი.


REUTERS სტამბოლიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge